პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 211 (20552) ◆ სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

მ. ს. გორბაჩოვის

გამოსვლა ცენტრალური ტელევიზიით

საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო!

თქვენთან დღევანდელი ჩემი საუბარი მიმდინარე მომენტს შეეხება. ვითარება ქვეყანაში მარტივი არ არის. ეს ყველამ ვიცით, და ყველანი ვგრძნობთ.

ყველაფერი ერთ მჭიდრო კვანძად შეიკრა — სიმწვავეც სამომხმარებლო ბაზარზე, კონფლიქტებიც ეროვნებათაშორის ურთიერთობაში, ძნელი, ზოგჯერ კი მტკივნეული პროცესები საზოგადოებრივ შეგნებაში, რომლებიც დაკავშირებულია დეფორმაციების დაძლევასთან, სოციალიზმის განახლებასთან. ადამიანები ცდილობენ გაიგონ, სად აღმოვჩნდით ამ მომენტში, როგორია ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განვლილი გზის პლუსები და მინუსები, როგორ ვითარდება დემოკრატიზაცია, როგორ მიმდინარეობს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები.

სავსებით გასაგებია მათი მისწრაფებაც ჩასწვდნენ გარდაქმნის კონკრეტული პროგრამების შესრულებაში, გადაუდებელი პრობლემების გადაჭრაში ჩვენი სისუსტეების, ჩავარდნების ჭეშმარიტ მიზეზებს, გაარკვიონ, რატომ არის, რომ სიტუაცია ზოგიერთ საკითხში არათუ არ უმჯობესდება, არამედ გართულდა კიდეც.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური ცხოვრების ახლანდელ მომენტს ახასიათებს დისკუსიათა დიდი სიმწვავე. მაგრამ ამავე დროს მთავარი, და ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ ამოძრავდნენ მშრომელთა მასები, ისინი სულ უფრო აქტიურად ებმებიან სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების განხილვასა და გადაწყვეტაში.

ამ ფაქტს, ამხანაგებო, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან გარდაქმნას კონსტრუქციულ, საქმიან ხასიათს ანიჭებს, ამით ვძლევთ ძალაუფლებისაგან ხალხის გაუცხოებას.

მაგრამ არ შეიძლება სხვა რამეც არ დავინახოთ. დისკუსიებისა და მოვლენების ბობოქარ მორევში უკანასკნელ ხანს ისეთი რამეც ხდება, რომლის უყურადღებოდ და შეუფასებლად დატოვება არ შეიძლება. ჩვენ ვხედავთ, რომ კონსერვატიული, ცრუმემარცხენული პოზიციებიდან, ზოგჯერ კი აშკარად ანტისოციალისტური პოზიციებიდანაც ცდილობენ სახელი გაუტეხონ გარდაქმნას. ამ გუნდურ ყაყანში გაისმის დაშინებანიც: მოახლოებული ქაოსის გამო, მსჯელობანი გადატრიალების საფრთხეზე, თვით სამოქალაქო ომის შესახებაც კი. ფაქტია, რომ ზოგ-ზოგებს სურთ საზოგადოებაში შექმნან შიში, უსაშველობისა და ურწმუნოების ატმოსფერო.

ძნელია თავიდან მოიშორო შთაბეჭდილებანი, რომ ვიღაცას ეს ხელს აძლევს, რომ უბრალოდ სურთ თავგზა აუბნიონ ადამიანებს, მოუფიქრებელი მოქმედებისაკენ უბიძგონ.

არსებითად, კონსერვატიული პოზიციებიდან ცდილობენ თავს მოგვახვიონ სიტუაციის ისეთი შეფასებანი, რომლებიც გვაიძულებს წინააღუდგეთ გარდაქმნას, ადამიანებს ჩააგონონ აზრი, რომ უნდა შეაჩერონ ცვლილებათა დაწყებული პროცესები, ან, სულ ცოტა, შეაფერხონ მაინც, მოგვიწოდებენ დავუბრუნდეთ მმართველობის ძველ, მბრძანებლურ მეთოდებს. თორემ ქაოსი იქნებაო. ცრუმემარცხენული კუთხიდან კი გვთავაზობენ გადავწყვიტოთ ურთულესი ამოცანები უცებ, ერთი ხელის დაკვრით, ანგარიში არ გავუწიოთ არც რეალურ შესაძლებლობებს, არც საზოგადოების ინტერესებს, თანაც, ამას გვთავაზობენ ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვად.

უკანასკნელ ხანს გაჩნდა ისეთი რეკომენდაციებიც, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ ჩვენი „ხსნა" ერთი რამ არის — უარი ვთქვათ სოციალისტურ ღირებულებებზე და გარდაქმნა კაპიტალისტურ ყაიდაზე წარვმართოთ. არც უამისობაა.

საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ეწინააღმდეგება გარდაქმნის პოლიტიკის არსს, რომლის მიზანია საზოგადოების სოციალისტური განახლება.

სულაც არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს აზრთა მრავალფეროვნება ახლა ხელშემშლელი იყოს და რომ არც ერთ იმათგანს, ვისაც ვეკამათები, არ აწუხებდეს, თუ როგორ მიმდინარეობს საქმეები ქვეყანაში. არა საკითხი სულ სხვაა. რად გადაიქცევა ეს შეშფოთება — აი არსი რა არის!

ზოგი მზად არის ხელი აიღოს გარდაქმნაზე და წარსულს დაუბრუნდეს. სხვები, თავს მიიჩნევენ რა „მტკიცე რეფორმატორებად", მზად არიან გარდაქმნის განვითარებას უბიძგონ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების, მოუფიქრებელი პროექტების გზაზე, რომლებშიც მეტია ამბიცია, ვიდრე საქმისათვის ზრუნვა.

ყოველივე ეს ფრიად სერიოზულია, ამხანაგებო. და ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე გარკვევით გამომეთქვა ჩემი აზრი ამის შესახებ.

დიახ, გარდაქმნა ძნელად მიმდინარეობს. მაგრამ ეს ხომ მკვეთრი შემობრუნებაა — რევოლუციაა ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, სულიერ სფეროშიც, თვით ადამიანის შეგნებაშიც — ჩვენი ცხოვრების მთელ წყობაში. ამასთან მოგვივიდა შეცდომებიც პრაქტიკულ მუშაობაში, რომლებიც უკვე გარდაქმნის დროს დავუშვით, მაგრამ გარდაქმნამ დასახა საზოგადოების განახლების, მის მიერ ახალი თვისების შეძენის, ნამდვილი ჰუმანური და დემოკრატიული სოციალიზმის შექმნის რეალური გზა. მან დიდად ქვეყანას დაუბრუნა ღირსების გრძნობა, საბჭოთა ადამიანს თავისუფლების შეგრძნება მისცა. ეს არის სოციალური და სულიერი, მე ვიტყოდი, პატრიოტული ენერგიის მძლავრი წყარო ათწლეულებისათვის.

რაკი ასეა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა განვავითაროთ გარდაქმნა იმ იდეებისა და პრინციპების საფუძველზე, რომლებიც პარტიამ გამოაცხადა. არ უნდა ავყვეთ იმას, რომ მოზღვავებული სიძნელეების ზეგავლენით ზოგზოგებმა საზოგადოებას აღუძრან ეჭვი არჩეული გზის სისწორეში.

გაჩერება არ შეიძლება, უნდა ვიაროთ წინ დასახულ გარდაქმნათა გზით.

საზოგადოება გრძნობს მომენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ქვეყნის შრომით კოლექტივებში მწიფდება იმის გაგება, რომ უგუნურებაა ძალების ხარჯვა სხვადასხვაგვარ ლანძღვა-გინებაზე და ყოვლად შეუწყნარებელია საზოგადოების დანაწევრების, ადამიანთა ერთმანეთის წაკიდების ცდები; სულ უფრო მტკიცედ გაისმის ძალისხმევის გაერთიანების, გარდაქმნის ყველა მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესების მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ უნდა მივესალმოთ მშრომელთა მაღალ მომთხოვნელობას სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, ყველა დონის სახელმწიფო და პარტიული ორგანოებისადმი, რომლებისგანაც ისინი ელიან მეტ სიმტკიცეს გარდაქმნის გეზის გატარებაში, მუშაობის ახლებურად ორგანიზაციაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით უკეთესობისაკენ ახლანდელი სიტუაციის შეცვლას.

ადამიანები თავისუფლდებიან ილუზიებისაგან, მარტივი და იოლი გადაწყვეტის, იმის რწმენისაგან, რომ ვიღაც ზემოდან ყველაფერს მზამზარეულად მიაწვდის და გადაჭრის ყველა პრობლემას.

მათ მსჯელობაში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ: ვცხოვრობთ ისე, როგორც ვმუშაობთ — არც უკეთესად და არც უარესად. მე კი მინდა მხოლოდ დავუმატო: ხვალაც ისე ვიცხოვრებთ, როგორც ვიმუშავებთ.

უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში მტკიცდება იმის გაგება, რომ გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია შრომასთან — შემოქმედებითს, დაძაბულ, დიდნაყოფიერ შრომასთან, მთელი ძალღონისა და ცოდნის უკუგებასთან, მნიშვნელოვნად, რადგან უკანასკნელ დრომდე ჩვენში გაცილებით ნაკლებს ლაპარაკობდნენ შრომაზე, მეტს კი დოვლათის განაწილებაზე. შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს გარდაქმნა მხოლოდ რაღაც არარსებული დოვლათის გადანაწილებით ამოიწურებოდეს.

კარგია, რომ ჩვენ, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც თავიდან ვიცილებთ ამ ცდომილებას, რომ სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელება საზოგადოებაში სულ უფრო მეტად უკავშირდება არა ყბადაღებულ გათანაბრებას, არამედ ადამიანის რეალურ შრომით წვლილს.

პოზიტიური ცვლილებების ზრდას მოწმობს ისიც, რომ უკანასკნელ ხანს საზოგადოებაში მეტად მწვავედ იხილება დისციპლინის, წესრიგისა და უყაირათობის საკითხი. ყოველმხრივ მხარს ვუჭერ რა ამას, მინდა ვთქვა: ვერ შევურიგდებით იმას, რომ ყველგან ირღვევა სახელმწიფო, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, იფუშება სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება საწარმოებს, რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს შორის.

ვერ შევურიგდებით იმას, რომ ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებათა გამო ძალიან უჭირს სახალხო მეურნეობას.

მინდა შევეხო გაფიცვებსაც. თუ ამ გზას დავადგებით პრობლემების გადაჭრაში, ამას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს საზოგადოებისათვის. წარმოქმნილი პრობლემები უნდა გადავჭრათ სხვა მეთოდებით, დროულად, რათა ისინი არ იზრდებოდეს, არ იძენდნენ მტკივნეულ ხასიათს. ჩვენ განსაკუთრებით არ უნდა შევიწყნაროთ ის, რომ ხშირად ურიგდებიან იმის უდიდეს დანაკარგებს, რაც შრომით მოგვიპოვებია, რაზეც მატერიალური და ფინანსური რესურსებია დახარჯული.

ვფიქრობ, რომ ადამიანები სწორად სვამენ საკითხს ყველა დონეზე პასუხისმგებლობისა და დისციპლინის მკაცრად განმტკიცების შესახებ.

გარდაქმნა და უპასუხისმგებლობა ერთმანეთს ვერ ჰგუობს. ეს ანტიპოდებია.

როცა ჩვენი საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობას ვახასიათებ, არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო დამნაშავეობის საკითხი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ამ უმწვავესი სოციალური საკითხის განხილვისას დეპუტატები ერთსულოვანნი იყვნენ იმ მხრივ, რომ აქ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებების მიღებაა საჭირო და უწინარესად ორგანიზებული დამნაშავეობის, მექრთამეობის, სპეკულანტების მიმართ, მოქალაქეთა ქონებისა და ღირსების ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ.

უმკაცრესი წესრიგი უნდა დამყარდეს ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. უმაღლესმა საბჭომ საჭიროდ მიიჩნია კანონის საფუძველზე მილიციას, ყველა სამართალდამცველ ორგანოს მიენიჭოს უფრო ფართო შესაძლებლობანი დამნაშავეობასთან საბრძოლველად, გაუმჯობესდეს მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, გაიზარდოს შინაგანი ჯარების რიცხვი, ამაღლდეს მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის დონე. მაგრამ ჩვენი დიდი მომთხოვნელობაც უნდა წავუყენოთ ყველას, ვინც საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე დგას.

ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს. მაგრამ, თუ ამ რთულ ბრძოლაში მთელი ჩვენი საზოგადოება არ ჩაება, სწრაფ გარდატეხას ვერ მივაღწევთ. მე ვიცი, და ამას პრესაც იუწყება, რომ ბევრ სამრეწველო ცენტრში უკვე შეიქმნა მუშათა რაზმები, სხვა ფორმირებანი, რომლებიც დახმარებას უწევენ სამართალდამცავ ორგანოებს. განსაკუთრებით საჭიროა, რომ ამას გამოეხმაუროს ახალგაზრდობა. ჩვენ მისი აქტიურობისა და შეუპოვრობის იმედი გვაქვს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ცენტრშიც და ადგილებზეც ყველა შრომით კოლექტივში ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ პრაქტიკული მუშაობა გარდაქმნის განსახორციელებლად, დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად.

ამ უახლოეს თვეებში ცენტრში უნდა მივიღოთ კარდინალური გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება გადაუდებელ პრობლემებსაც და მომავლისათვის მარაგნაკეთესაც. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამით განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომავალი მეორე ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის, მე ვიტყოდი, განსაკუთრებული მნიშვნელობა.

სსრ კავშირის მთავრობა ამუშავებს და სახალხო დეპუტატთა ყრილობას უნდა წარუდგინოს ეკონომიკის გაჯანსაღების, უწინარესად, სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაციის საგანგებო ღონისძიებათა პროგრამა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პროგრამამ უნდა მოგვცეს მკაფიო პასუხი — როგორ და რა ვადებში გადაწყდება უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ვფიქრობ, რომ საზოგადოება არ დაგვეთანხმება, თუ ამ პროგრამაში მკვეთრად არ განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი, ეტაპები, ვადები, ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა. მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ასეთ ღონისძიებათა კომპლექსში შეიძლება აღმოჩნდეს არაპოპულარული, რაღაცაში მკაცრი და გარკვეულწილად მტკივნეული ღონისძიებანი. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის საჭიროებით არის ნაკარნახევი.

განსაკუთრებულია დეფიციტების საკითხი, რომელიც ყველაზე მეტ კრიტიკასა და უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. მთავრობამ უნდა წარმოადგინოს ამ მწვავე სოციალური საკითხის გამო ანგარიშიც, და უახლოესი დროისათვის გათვალისწინებული პრაქტიკული ღონისძიებანიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე უნდა მივიღოთ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შემდგომ გაღრმავებასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანიც. უწინარესად საქმე ეხება ისეთ ფუნდამენტურ კანონს, როგორიც არის კანონი საკუთრების შესახებ, რომლის მიღება საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ წარმოების საშუალებებისაგან ადამიანის გაუცხოება, შევქმნათ დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის სტიმულები. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონი მიწისა და მიწათსარგებლობის, არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ.

ამრიგად, პრინციპულ ნაბიჯს ვდგამთ ეკონომიკის ყველა სექტორში წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისა და სოციალისტური საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების დამკვიდრების გზაზე.

დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით მიღებული იქნება ახალი კანონი სოციალისტური საწარმოს შესახებ, რომელიც სამეურნეო დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და ფხიანობის გამოვლენის ფართო შესაძლებლობებს დასახავს, მეურნეობრიობის თანაბარ პირობებს შეუქმნის სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს.

დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნება კანონებს რესპუბლიკური და რეგიონალური სამეურნეო ანგარიშისა და ადგილობრივი მეურნეობის და თვითმმართველობის შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია რეალური განმტკიცებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოების გზაზე.

პრინციპული გადაწყვეტილებანი უნდა მივიღოთ საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის შესახებ.

ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც გარდაქმნის პრინციპებსა და მოთხოვნებს შეესაბამება, უახლოეს ხანში განვიხილავთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა, იმედი გვაქვს, კარგი საფუძველი გახდება საბჭოთა ფედერაციის საკითხების გადასაწყვეტად, ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემების გადასაჭრელად.

განხილული და გადაწყვეტილი იქნება სხვა საკითხებიც.

ერთი სიტყვით, ჩვენ შევედით საზოგადოების განვითარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციის პასუხსაგებ პერიოდში. ცვლილებანი, რომლებიც ჩვენ დავიწყეთ, ვავითარებთ და ვაღრმავებთ, უეჭველად, შედეგებს მოიტანს. ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ამისათვის ყველამ მტკიცედ და ერთმანეთთან თანხმობით უნდა ვიმოქმედოთ.

დღეს, განსაკუთრებით გვჭირდება მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაცია.

ამ საქმეში შეუცვლელია პარტიის, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი, ავანგარდული ძალის როლი. იმათ, ვისაც იმედი აქვს, რომ ისარგებლებს გარდამავალი პერიოდის სიძნელეებით რაღაც საძრახისი მიზნებისათვის, და ცდილობს შეარყიოს პარტიის გავლენა, უნდა იცოდნენ, რომ ეს არ გამოუვათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელებს, რაოდენ კრიტიკულადაც უნდა იყვნენ განწყობილი ამა თუ იმ პარტიული კომიტეტის, ამა თუ იმ კომუნისტის საქმიანობის მიმართ, კარგად ესმით ლენინის პარტიის მნიშვნელობა სოციალიზმის ბედისათვის, რომელიც ახლა განუყოფელია გარდაქმნის წარმატებისაგან. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ახალი ამოცანები პარტიის საფუძვლიან განახლებასაც მოითხოვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ახლა თავად გარდაიქმნება, განიწმინდება ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის, ძლევს დოგმატიზმსა და კონსერვატიზმს, ითვისებს მუშაობის ახალ სტილსა და მეთოდებს, განაახლებს კადრების შემადგენლობას, მოქმედებს მშრომელებთან ერთ რიგში, შეძლებს შეასრულოს საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის როლი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ განახორციელებს გარდაქმნის გეზს, სათავეში უდგას რა რევოლუციურ გარდაქმნებს ქვეყანაში. ჩვენ რეალისტურად უნდა ვაფასებდეთ ახლანდელი ვითარების ყველა პროცესსა და მოვლენებს, ვიჩენდეთ გამძლეობას, ნათლად ვხედავდეთ, სად ვიმყოფებით, არ უნდა დავიბნეთ და ამ საფუძველზე უნდა გამოვიტანოთ დასკვნები მოცემულ მომენტში და პერსპექტივისათვის სამუშაოდ. უნდა მოვიქცეთ პასუხისმგებლობის გრძნობით, გონივრულად, არ გადავუხვიოთ საზოგადოების გარდაქმნის დასახულ კურსს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებულ საქმიანობას, სულის სიმტკიცესა და სიძლიერეს.

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

ვიყოთ ყოველმხრივ ძლიერნი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში ნათქვამია: „ჩვენი ფედერაციის შევსება რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით გულისხმობს ახალ მიდგომას პარტიული მშენებლობისადმი. არსებული სტრუქტურის ფარგლებში რესპუბლიკის კომპარტიებმა საქმე ისე უნდა წარმართონ, რომ განმტკიცდეს მათი დამოუკიდებლობა".

კარგად არის ნათქვამი, მაგრამ მხოლოდ ჩამოთვლილი პირობები სახელდობრ ის, რომ მათი ავტორიტეტის ამაღლებას ხელს უწყობს უფლების მინიჭება თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ პარტიული ცხოვრების ყველა ძირითადი საკითხი, ორგანიზაციულ-სტრუქტურული, საკადრო, ფინანსური, სპეციალურ-ეროვნული და სხვები, წარმატებით ვერ იქნება განხორციელებული, თუ ძველებურად დარჩება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების უფლებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხოლოდ საოლქო კომიტეტის უფლებების დონეზე, როგორც დღემდე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით 1925 წლიდან რკპ(ბ) გახდა საკავშირო კპ(ბ), ხოლო 1952 წლიდან — სკკპ. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიები კი კვლავ დარჩნენ საოლქო კომიტეტის უფლებათა დონეზე.

ახლა პარტიის ეროვნული პოლიტიკის პლატფორმის პროექტი ითვალისწინებს საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში რუსეთის სფსრ სამართლებრივი სტრუქტურისა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას. მასში ნათქვამია, რომ აქამდე რუსეთში „მთელი რიგი სამმართველო ფუნქციები იკისრებოდათ საერთო-საკავშირო ორგანოებს. ეს უარყოფით გავლენას ახდენს თვით რესპუბლიკის, კავშირის ინტერესებზეც. ხშირად იწვევს ამოცანების აღრევას, მომწიფებული პრობლემების გადაჭრის გაჭიანურებას". მიზანშეწონილია „რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში შეიქმნას რესპუბლიკური მმართველობის დამატებითი ორგანოები, მათ შორის ადმინისტრაციული, ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული, სამეცნიერო და სხვანი". მაგრამ აქ არაფერია თქმული მთავარზე. საჭიროა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიად კი არა, რუსეთის კომუნისტურ პარტიად იწოდებოდეს რსფსრ-ის პარტიული ორგანიზაციები და მაშინ გვექნება თანაბარი მდგომარეობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ასეთი გარდაქმნით შეიქმნება თანაბარი მდგომარეობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იქნება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების სრულთანასწორუფლებიანობაზე აგებული კვლავ ერთიანი პარტია, ერთი პროგრამით და ერთი წესდებით.

გრიგოლ ბრეგაძე,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 8 სექტემბერს გამართულ სხდომაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები. მიღებულია გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეიტანონ სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევისა და თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხები. აღინიშნა, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მას ფართოდ იხილავენ შრომით კოლექტივებში. პლატფორმას მხარი დაუჭირეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა ფართო მასებმა.

სხვადასხვა რესპუბლიკიდან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოსულ გამოხმაურებებში საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ საჭიროა დავიცვათ და განვამტკიცოთ საბჭოთა ფედერაცია, რომელიც შეიცავს უდიდეს პოტენციალს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საბჭოთა ხალხების მჭიდრო ურთიერთმოქმედებითა და ურთიერთდახმარებით გადავწყვიტოთ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების უფლებათა გაფართოების, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში მათი დამოუკიდებლობის გაზრდის ყოველი საკითხი.

ადგილებიდან მოსული შენიშვნები და წინადადებები ითვალისწინებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მომზადების დროს. პლენუმის მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი მასალები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა პირველი საჭიროების არასასურსათო საქონლით მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფის საკითხი. აღინიშნა, რომ ქვეყანაში დაძაბული ვითარება შეიქმნა ამ საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში. ეს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს განსაკუთრებით საპნის, სარეცხი ფხვნილების, კბილის პასტის, სასკოლო რვეულების, გალვანური ელემენტებისა და ბატარეების და ზოგიერთი სხვა საქონლის გაყიდვაში შეფერხებათა გამო.

შექმნილი სიტუაცია სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელთა მიერ დაშვებული ხარვეზების, საქმის გაჭიანურებისა და ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა პარტიული კომიტეტები პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ იმ კომუნისტ ხელმძღვანელთა მუშაობას, რომლებიც პასუხს აგებენ მუშაობის ამ უბნებისთვის, ურიგდებიან ობიექტების მშენებლობის ვადების გაჭიანურებას, აგრეთვე მოქმედი წარმოებების, მათ შორის მწვავე დეფიციტური პროდუქციის გამომშვები წარმოებების შემცირებისა და შეკვეცის ფაქტებს.

აღინიშნა, რომ კომუნისტებმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ვ. კ. გუსევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. პ. ლახტინმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. ეფიმოვმა არ განახორციელეს ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოსახლეობის სტაბილური უზრუნველყოფის საკმარისი ღონისძიებანი, შეასუსტეს კონტროლი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობისადმი.

პოლიტბიურომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტს დაავალა განიხილოს სკკპ წევრების ვ. კ. გუსევის, ვ. პ. ლახტინისა და სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა კომუნისტ-ხელმძღვანელების პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის წარმოებაში დაშვებული ჩამორჩენისა და ამ საქონლით მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფისათვის.

სკკპ წევრს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ა. ი. ეფიმოვს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოთქვა აზრი, რომ შეუძლებელია იგი შემდგომში დარჩეს ამ თანამდებობაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა გაუძლიეროს კონტროლი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებისა და ამ საქონლით სამომხმარებლო ბაზრის უხვად მომარაგების დაჩქარების მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, სამინისტროებისა და უწყებების პარტიულ კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა პირველი საჭიროების საქონლის დეფიციტის უსწრაფესი დაძლევისათვის.

პოლიტბიურომ მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. ნიკიტინის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისათვის. განხილვის დროს აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს ორგანიზატორული მუშაობა მოსავლის აღების დამთავრებისა და საკვების დამზადებისათვის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და სხვა კულტურების სახელმწიფო შეკვეთების შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთო-საკავშირო ფონდში და ადგილობრივი მომარაგებისათვის ხორცისა და რძის პროდუქტების, ხილბოსტნეულისა და კარტოფილის მიწოდების დავალებათა უზრუნველყოფას.

პარტიულ კომიტეტებსა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაზარდონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრებისადმი, რომლებიც პასუხს აგებენ სასურსათო მომარაგების კონკრეტული უბნებისათვის.

სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში სოციალური სფეროს მშენებლობის 1989 წლის პროგრამა. აღინიშნა, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ტემპი გაიზარდა. ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა 5,7 მილიონი ოჯახის საბინაო პირობები. ამავე დროს სოციალური მშენებლობის მასშტაბი ჩამორჩება მოთხოვნილებებს, იმათი რიცხვი, ვისაც ბინები სჭირდება, არ მცირდება. ვითარებას ართულებს ისიც, რომ მიმდინარე წლის რვა თვის მანძილზე რესპუბლიკაში დაუშვეს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე მშენებარე საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საექსპლოატაციოდ გადაცემის მოცულობის შემცირება.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროების, აგრეთვე ბევრი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელები ვერ გახდნენ საბინაო პროგრამის შესრულების ნამდვილი ორგანიზატორები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოითხოვა შეიცვალოს საქმის ვითარება სოციალური სფეროს მშენებლობებზე, გაიზარდოს საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების უთუო შესრულებისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების ხელმძღვანელებმა საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ ამ მშენებლობის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხთა გადაწყვეტაში.

ეკონომიკაში შექმნილ სიძნელეთა დაძლევა უმნიშვნელოვანესი საქმეა

რესპუბლიკაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. სახალხო მეურნეობის განვითარება არაორდინალურ, ხშირად წინააღმდეგობრივ პირობებში მიმდინარეობს. ერთი მხრივ მწვავდება ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები, მატერიალურ-ტექნიკური, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის პრობლემები, ხოლო მეორე მხრივ, მომწიფდა საჭიროება, რომ უპირატესად სახსრები მოხმარდეს სოციალურ განვითარებას, სასურსათო პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, მათ შორის სტიქიურ უბედურებათა ზონებიდან ჩამოსახლებულთათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს საგეგმო ორგანოების, უწინარესად რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებლობას საარსებო მნიშვნელობის ამოცანების პრიორიტეტული გადაწყვეტისათვის.

ამას წინათ ახლანდელი ხუთწლედის განვლილი პერიოდის საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1990 წლის გეგმის პროექტების ფორმირების საკითხები განიხილა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აქტივის თათბირმა.

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებზე ამას წინათ გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ძირითადი მოთხოვნები, დასკვნები და მითითებანი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია. დაწვრილებით ილაპარაკეს ისეთ სერიოზულ პრობლემებზე, როგორიც არის საზოგადოებრივი წარმოების ტემპის შენელება, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებაში ჩამორჩენა.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკურ ზრდას წინანდებურად აფერხებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის დაბალი დონე, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, ელექტროენერგიითა და საწვავით მომარაგებაში შეფერხებანი, ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეებში არსებული ხარვეზები, საწარმოო და შრომის დისციპლინის გაუარესება.

ამ ბოლო დროს მეტად ვლინდება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მზარდი დეფიციტის, რესპუბლიკის სატრანსპორტო სქემის არასრულყოფილების უარყოფითი გავლენა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. ეს სიძნელეები კიდევ მეტად ღრმავდება, თუ საგეგმო და სამეურნეო ორგანოები ვერ შეძლებენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, გონივრული, ოპტიმალური ბუნებათსარგებლობის საკითხებზე.

ბოლო დროს ეკონომიკაში გამოვლენილ მთელ რიგ ნეგატიურ ტენდენციათა გაღრმავებამ უკიდურესად გაართულა ვითარება. საგრძნობლად გაიზარდა მრავალი სახალხო მოხმარების საქონლის, მათ შორის სურსათის ნაკლებობა, გაძლიერდა ინფლაციური პროცესები და ამის შედეგად იმატა სოციალურმა დაძაბულობამ.

რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შენელების მიზნით მთავრდება საჭირო მუშაობა 1990 წლის გეგმის შედგენისათვის, რათა მასში გათვალისწინებული იყოს წარმოების მოცულობათა ზრდის, მისი ეფექტიანობის მატების, სამომხმარებლო ბაზარზე საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცების ყველა შესაძლებლობა.

ამასთან შეშფოთებას იწვევს ის, რომ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით მინიჭებული უფლებები ბევრმა სამეურნეო ხელმძღვანელმა და კოლექტივმა აღიქვა როგორც შემცირების მხრივ სახელმწიფო გეგმების გაუკონტროლებელი კორექტირების შესაძლებლობა. მთელ რიგ შემთხვევებში ხდება ფასების მომატება და უარს ამბობენ იაფფასიანი, მაგრამ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვებაზე. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ საჭიროა გაიზარდოს ადგილობრივი პარტიული კომიტეტების გავლენა შრომით კოლექტივებზე, რათა გეგმების შედგენის, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის დროს დაარწმუნონ ისინი, რომ წარმოების მოცულობათა შემცირება არ არის ის გზა, რომელსაც მივყავართ ცხოვრების ხელსაყრელი პირობებისაკენ, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო ანგარიშისაკენ და, საბოლოო ანგარიშით, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ.

განსახილველ საკითხებზე თავიანთი აზრები გაუზიარეს დამსწრეთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრებმა და განყოფილებათა უფროსებმა. მათ აღძრეს მრავალი საპრობლემო საკითხი, რომლებიც ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე 1990 წლის დავალებათა განსაზღვრას შეეხება, წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი შექმნილ სერიოზულ სიძნელეთა დაძლევის თაობაზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ი. პავშენცევმა. აღინიშნა რომ, იმაზე, თუ რამდენად უნარიანი იქნება მოქმედება შეცდომის გამოსასწორებლად და სწორი იქნება მომავალი წლის საგეგმო გადაწყვეტილებანი, ბევრად იქნება დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გუნება-განწყობილება. აქ უნდა უკუვაგდოთ ძველი მიდგომები, როცა შრომით კოლექტივებს უბიძგებდნენ ხარჯების გზისკენ, მთლიანი შეფასებებისაკენ, როცა იკვეცებოდა მათი დამოუკიდებლობა, ჩრდილში რჩებოდა სოციალური საკითხები.

ამ და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრას შევძლებთ, თუ უფრო გაბედულად და ყოველმხრივ გამოვიყენებთ სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების პრინციპებს და დაგეგმვისა და მართვის დემოკრატიულ მეთოდებს.

ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე რესპუბლიკის გადაყვანის საჭიროება დაბეჯითებით მოითხოვს ყოველმხრივ გავითვალისწინოთ შესამუშავებელ გეგმებში რესპუბლიკის სპეციფიკა, ხალხის ინტერესები და აზრი, საკითხები, რომლებიც აწუხებთ ადამიანებს, ცხოვრებისა და შრომის რომელ სფეროებსაც უნდა შეეხებოდეს ისინი. აქ იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ უმოკლეს ვადებში დავამთავროთ სახალხო მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნა სოციალური მიმართულების პრიორიტეტის გათვალისწინებით, კიდევ მეტად განვავითაროთ საქართველოსათვის ტრადიციული დარგები. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვაწარმოოთ უშუალო დიალოგი საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან, მშრომელებთან.

მთლიანად რესპუბლიკაში და მის ცალკეულ რეგიონებში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ცენტრში და ადგილებზე თავი უნდა მოუყარონ მთელ ძალებს მიმდინარე წლის პირველი რიგის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისა და მომავალში ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახალხო მეურნეობის დინამიკური ფუნქციონირების ყველა პირობის შექმნისათვის.

(საქინფორმი).

დარგები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს

ვალერიან ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე

ამჟამად, როცა ყალიბდება საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფციები და მუშავდება იმ ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური კრიზისის ღონისძიებანი, რომელთა წინაშე ყველანი აღმოვჩნდით, სულ უფრო იზრდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მნიშვნელობა. იმისათვის, რომ შეასრულონ თავიანთი როლი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაკებმა უნდა იმუშაონ განსაკუთრებით პასუხისმგებლურად, ძალების სრული უკუგებით, ხოლო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის საშუალებანი ფუნქციონირებდეს ეფექტიანად და შედეგიანად.

რას ვხედავთ სინამდვილეში?

მთლიანად ქვეყნის და, კერძოდ, რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი რთული მდგომარეობა აისახება მგზავრთა გადაყვანის რიტმზეც — რკინიგზის, საავტომობილო, საავიაციო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის მუშაკთა და საფოსტო ქსელის მუშაობაში. არასაკმარისად ეფექტიანი დაზღვევა, გაფიცვებთან, აფხაზეთში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებთან, სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებული შეფერხებანი ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუშაკთა წინაშე აყენებს რთულ საწარმოო და სოციალურ პრობლემებს. მაგრამ თუ საკითხს მთელი პრინციპულობითა და თვითკრიტიკულად დავსვამთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მგზავრთბრუნვის გეგმის შესრულებაში დაშვებული ჩამორჩენა, სერიოზული ხარვეზები საწარმოო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში, მომსახურების დაბალი დონე უუნარობის, მთელ რიგ შემთხვევებში კი იმის შედეგია, რომ არ სურთ დროზე გარდაიქმნან და მოაგვარონ მუშაობა შექმნილ ექსტრემალურ პირობებში.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სამგზავრო მატარებლის მოძრაობის გრაფიკის დარღვევები. მიმდინარე წლის დამდეგიდან ჩაიშალა თითქმის ორი ათასი სამგზავრო მატარებლის (საგარეუბნო მატარებლების ჩაუთვლელად) გაგზავნა და სხვა. სალიანდაგო მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო რკინიგზის თითქმის 80 უბანზე დაწესებულია მატარებლების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა. ბოლო არ უჩანს საუწყებათშორისო დავას მოძრაობისა და გზის სამსახურებს შორის ლიანდაგის ცალკეული უბნების კაპიტალური რემონტისათვის „ფანჯრების“ მიცემის ნაწილში.

მოსახლეობა კვლავ გამოთქვამს უკმაყოფილებას ბილეთების გაყიდვისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის, ვაგონების ტექნიკური უწესივრობის, ხშირად მატარებლების ბრიგადების მხრივ უხეშობის გამო. პრაქტიკულად არ ინერგება მომსახურების ახალი ფორმები და მეთოდები, ხოლო იმას, რაც კეთდება, ყველაზე უფრო ხშირად ფორმალიზმის ბეჭედი აზის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაგონების გამყოლები ნაკლებად არიან დაინტერესებული მგზავრებისათვის მომსახურების გაუმჯობესებით.

დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმას — ტრანსპორტის საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვას — არ აღმოუფხვრია ეს პრობლემები. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ტრანსპორტის მუშაკთა შრომა ანაზღაურდებოდეს მისი დიდი დაძაბულობისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად, გარანტირებული იყოს საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრით.

განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ მაგისტრალის მუშაკთა საბინაო პირობების გაუმჯობესების სოციალური საკითხების გადაჭრაში.

სალოკომოტივო ბრიგადების რეისებს შორის დასვენების ორგანიზაცია მთელ რიგ ადგილებში ძალზე ცუდად არის დაყენებული, მშრომელებისათვის შექმნილი არ არის დასვენების ელემენტარული პირობები სრული უკუგებით მუშაობისათვის.

ეს ნაკლოვანებანი თანაბრად ახასიათებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაობასაც. ლამის ყოველდღიურად ირღვევა თვითმფრინავების გაფრენისა და ჩამოფრენის გრაფიკი, ცუდად არის ორგანიზებული მგზავრთა სერვისი, სერიოზული ნაკლოვანებანია ავიარეისებზე ბილეთების გაყიდვაში. ხშირად ირღვევა ავტომატური კავშირი „სირენა“.

მრავალი ხარვეზია ეკონომიკის დარგშიც. როგორც რკინიგზის, ისე ავიატრანსპორტზე ტვირთის დაკარგვა, დანაკლისი და გაფუჭება საკმაოდ ხშირი მოვლენა გახდა, ხოლო ესოდენ სამარცხვინო მოვლენის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა აშკარად არასაკმარისად წარმოებს.

სულ უფრო იზრდება სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელობა. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 110 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის 2000 საავტობუსო მარშრუტი. ყოველდღიურად ხორციელდება 37 ათასი რეისი, რომლებშიც საშუალოდ ორი მილიონი მგზავრი მონაწილეობს. ამ ბოლო ხანს საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ავტოსადგურები ბათუმში, ოზურგეთში, ყვარელში, ლაგოდეხში, ბოლნისში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობაშიც მრავალი ნაკლია. თითქმის ყველა ავტოსატრანსპორტო საწარმოში მოქმედებს მოძველებული მცირეეფექტიანი ტექნიკა, ხშირია საფუძვლიანი საყვედურები, განსაკუთრებით ზაფხულის დაძაბულ პერიოდში, მგზავრების მიმართ სათანადო ყურადღების უქონლობის გამო. არ წყდება ბილეთების გაყიდვის წესების დარღვევები, ხოლო მოლარეები და დისპეტჩერები, რომელთა ბრალია ეს დარღვევები, სათანადოდ არ ისჯებიან.

თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სატელეფონო და საფოსტო მომსახურების პრობლემა ახალი არ არის, მას ღრმა ფესვები აქვს. წარსულში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები დღემდე იჩენს თავს. მართალია, საქართველოს ყოველ 100 მცხოვრებზე მოდის 17,62 ტელეფონი, და ჩვენ მეექვსე ადგილი გვიჭირავს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მაგრამ მოსახლეობის მომსახურების მრავალი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი სატელეფონო, სატელეგრაფო, საფოსტო ქსელი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა.

ნაწილობრივ ეს აიხსნება რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემის არასაკმარისი დაფინანსებით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი შესრულებით, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებული სიძნელეებით და სხვა მიზეზებით, რომლებიც გავლენას ახდენს კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობის ხარისხზე. მაგრამ სატელეფონო და სხვა სახეობათა კავშირგაბმულობის ხარისხი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია თვით ამ ქვეგანაყოფების მუშაკთა ზუსტ და აწყობილ მუშაობაზე. აქ ყველაფერი რიგზე როდია. სატელეფონო და სატელეგრაფო სადგურებში უხეშად ირღვევა მოწყობილობის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, პროფილაქტიკური და სარეგლამენტო ღონისძიებანი არარეგულარულად, უკიდურესად დაბალ დონეზე ხორციელდება. ხელმიშვებულია სახაზო-საკაბელო მეურნეობის ტექნიკური აღრიცხვა და პასპორტიზაცია. ახალი ტექნიკის დანერგვა ამ უბანზეც უკიდურესად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

დაბალ პროფესიულ დონეზე მზადდება ტექნიკური და ექსპლოატაციის პერსონალი. შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ნაწილში სათანადოდ არ ზრუნავენ ადამიანებისათვის, რამაც განაპირობა კადრების დენადობის მაღალი დონე.

ამრიგად, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა მუშაობაში ნაკლოვანებანი მრავლად არის, და უნებურად ისმება კითხვა: რას უყურებენ დარგის ხელმძღვანელები, რატომ შეეჩვივნენ ისინი ნაკლოვანებებს?

ვუპასუხებთ რა ამ კითხვას, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ისინი ჯერჯერობით არ არიან სათანადო სიმაღლეზე წარმოშობილი პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტაში. მთელი რიგი ხელმძღვანელების მუშაობის სტილსა და მეთოდებში ჭარბობს მოძველებული სტერეოტიპები, ძირითადი ყურადღება ეთმობა ამწუთიერი ამოცანების გადაწყვეტას, არ ითვალისწინებენ პერსპექტივასა და მისწრაფებას ხორცი შეასხან დასახულს. ამის შედეგად არცთუ იშვიათად იღებენ არასაკმარისად გააზრებულ, ნაკლებეფექტიან გადაწყვეტილებებს. მუშაობის ასეთი სტილი და მეთოდები შეუწყნარებელია. ისინი დაგმო ხალხმა და მათ უარყოფს თვით ცხოვრება.

დღეს ცენტრალური სამმართველო რგოლების მუშაკებს მოეთხოვებათ საქმისადმი სხვაგვარი მიდგომა. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ დიდი ერუდიციით, მასშტაბური აზროვნებით და გადაწყვეტილებათა გაბედულებით, შეუპოვრობით დასახული მიზნების მიღწევაში. დღეს ყველა ჩვენი საქმისადმი საჭიროა ახალი მიდგომა, გაბედული ინიციატივა, არაორდინარული გადაწყვეტილებანი.

რა პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტის საფუძველზე?

უპირველეს ყოვლისა უნდა გავზარდოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების ეფექტიანობა, როგორიც არის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სრულვყოთ მათი მართვა, განვამტკიცოთ დისციპლინა, უფრო ფართოდ დავნერგოთ მეურნეობრიობის ახალი მეთოდები.

ხელმძღვანელთა მთავარი ყურადღება უნდა მივაპყროთ რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი ფორმების და უპირველეს ყოვლისა მათი აქტიური ნაწილის — მოძრავი შემადგენლობის ოპტიმალურ გამოყენებას, იმის აუცილებლობას, რომ უნდა მიაღწიონ მისი ბრუნვის დაჩქარებას, მოძრაობის სიჩქარის გაზრდას.

1990 წლის დამლევამდე დარგის (ყველა სახეობის ტრანსპორტის) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და განმტკიცებისათვის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების მოცულობა გათვალისწინებულია გაიზარდოს 20 პროცენტზე მეტად.

ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას ხელს უწყობს სოციალური პრობლემების დროული გადაჭრა. ისინი თუმცა წყდება, მაგრამ ჭახირით. და ეს არ შეიძლება არ აწუხებდეთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ხელფასის სისტემის გაუმჯობესებისა და სხვა საარსებოდ მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის გადაჭრის უპირატესი ტემპი. შეუწყნარებელია ისეთი მოვლენა, როცა გვაკლია ახალგაზრდათა საერთო საცხოვრებლები, როცა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკები ბინის მიღების რიგში 10-20 წელიწადს და უფრო მეტ ხანს დგანან, ხოლო ბინას ზოგჯერ უკვე პენსიაზე გასვლის წინ იღებენ და სხვა.

ამ და სხვა სოციალური საკითხების დაგვიანებული გადაჭრის შედეგად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითად პროფესიათა მრავალი მუშაკი იძულებულია ვადაზე ადრე გავიდეს პენსიაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ნელა იზრდებიან კადრები. მაგალითად, მემანქანეთა თანაშემწეებს შორის დენადობა ყოველწლიურად საშუალოდ 18 პროცენტზე მეტს შეადგენს. თანაშემწეებიდან მემანქანე ხდება ერთი წლის მანძილზე 38-40 კაცი, ამავე დროს პენსიაზე მიდის 50-ზე მეტი მემანქანე. რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლისათვის საჭიროა ერთდროულად მოვემზადოთ კიდეც და ვისწავლოთ კიდეც. მოვემზადოთ არა განყენებულად, არამედ კონკრეტულად, არა ოდესმე, არამედ ახლა, დაუყოვნებლივ. ამაში უნდა ჩავაბათ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ყველა მუშაკი — გამყოლი და ლოკომოტივის მემანქანე, ვაგზლის, სადგურისა და დეპოს უფროსი, შოფერი და ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი, პილოტი და დისპეტჩერი, მონტიორი და სამმართველოს პერსონალი, რამეთუ დიდი ხანია ცნობილია, რომ ყოველგვარი საქმის წარმატებას წყვეტს კონკრეტული ადამიანის, თითოეული კოლექტივის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, თავდადებული შრომა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეფექტიანობის ზრდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, შემდგომი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ ამოცანის შესრულება რესპუბლიკის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა და მოსამსახურეთა მთელი მრავალათასიანი არმიის ღირსების საქმეა.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მკვეთრი შუქ-ჩრდილები

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორი ათეული წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე იგი გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მძლავრ და მოწინავე სანაოსნოდ, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს სახალხო მეურნეობის მილიონობით ტონა ტვირთის გადაზიდვაში. 1987 წლიდან სანაოსნო მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე — სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიდა. საამისოდ მთელი რიგი ეკონომიკური და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები განხორციელდა და შედეგმა არ დააყოვნა. 1988 წლის მონაცემებით, საქართველოს სანაოსნომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა. მიმდინარე წლის 6 თვის შედეგებით კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის გარდამავალი წითელი დროშაც მიიღო. ყოველ კვარტალში ერთი ან რამდენიმე ხომალდი გამარჯვებული გამოდის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ეკიპაჟი ერთნაირი თავდადებითა და პასუხისმგებლობით შრომობს. ეს ნათლად გამომჟღავნდა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომელიც უკვე მოეწყო საზღვაო-სატრანსპორტო ხომალდების უმრავლეს პირველად პარტიულ ორგანიზაციაში.

თბომავალ „სოხუმის“ პირველადი პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 14 კომუნისტს. აქ ყოველი მეორე-მესამე კაცი კომუნისტია. მონდომების შემთხვევაში ასეთ პატარა ორგანიზაციაში ძნელი არ არის კოლექტივი მონოლითური, ერთსულოვანი გახადო, დარაზმო ისინი მთავარი საკითხების გადასაწყვეტად. როცა ხომალდის ხელმძღვანელები, კომუნისტები კარგ მაგალითს უჩვენებენ, ორგანიზაციაში საქმე კარგადაც მიდის. ეს ნათლად აისახა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ნიკოლოზ გალკინის საანგარიშო მოხსენებაში. პარტიული ორგანიზაციის მდივნის კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა გამოსვლამ კარგი ტონი მისცა კრების მსვლელობას.

ითქვა, რომ პარტიული ორგანიზაციის აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმული იყო ყველა კომუნისტი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხომალდის ტექნიკურ განახლებას. წლეულს ეკიპაჟმა თავისი ძალებით ჩაატარა 196 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები. დაზოგეს 220 ტონა საწვავი. როგორც ვხედავთ, სამეურნეო მაჩვენებლები კარგია. გემზე მოწყობილი ბევრი ღონისძიება მიმართულია ეკიპაჟის პოლიტიკური შეგნების ასამაღლებლად. კაპიტან-დამრიგებელმა ლ. გლუმოვმა და მექანიკოს-დამრიგებელმა ვ. კინწურაშვილმა დრო და ენერგია არ დაიშურეს ხელქვეითთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სწავლებისა და დასტატებისათვის.

მაგრამ კრებაზე გამოირკვა, რომ ეკიპაჟს გაცილებით უკეთესი წარმატებები ექნებოდა, საბჭოთა ნავსადგურებში გრაფიკის მიხედვით დროულად რომ იღებდნენ ტვირთს. ასეთ დაუდევრობას უცხოეთის ნავსადგურებში იშვიათად წააწყდებით. — რატომ ხდება ასე, როდის მოეღება ბოლო ბიუროკრატიზმსა და უპასუხისმგებლობას? — თავიანთ გამოსვლაში გულისტკივილით აღნიშნეს კაპიტნის მეორე თანაშემწემ მ. ქაცარავამ, უფროსმა მექანიკოსმა მ. ადლეიბამ, კაპიტნის პირველმა თანაშემწემ ო. ხინკილაძემ და სხვებმა. მოიყვანეს ასეთი მაგალითიც. ავარიის გამო გემი სარემონტოდ საფრანგეთის ერთ-ერთ ნავსადგურში დააყენეს. ფრანგებმა აგრეგატი ისე ოპერატიულად და მაღალ დონეზე შეცვალეს, სხვა ნაწილებიც ისე შეაკეთეს, რომ ეკიპაჟი აღფრთოვანებული დარჩა. ნუთუ არ შეიძლება ჩვენმა სარემონტო ქარხნებმაც საქმეს ასეთი რუდუნებით მოჰკიდონ ხელი?

ხომალდ „მხატვარ კასიანის“ პირველადი ორგანიზაციის საარჩევნო-საანგარიშო კრებაზე პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილის სერგო ბაკლაჟენკოს ზერელე მოხსენებამ, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ყველაფერზე და არაფერზე იყო ლაპარაკი, შეკრებილთა უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც კაპიტნის თანაშემწემ ვ. გოგუაძემ, უფროსმა მექანიკოსმა ი. ბონდარჩუკმა, კაპიტნის პირველმა თანაშემწემ მ. კიკორიამ და სხვებმა აღნიშნეს, პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი იმიტომაც ეცემა, რომ ზოგიერთი კომუნისტი არ მუშაობს მთელი პასუხისმგებლობით. მოხსენებაში არ თქმულა, თუ ცალკეული კომუნისტი როგორ ასრულებს თავის მოვალეობას. აქტუალური პრობლემები კრებებზე იშვიათად გამოაქვთ განსახილველად, ამიტომაც იგრძნობა მოწყენილობა და პასიურობა. სანაოსნოს არა აქვს ისეთი სასტუმრო, რომ ფიზიკურად და სულიერად დაისვენოს დაღლილმა ადამიანმა, კრებაზე კი ერთხელაც არ გამოთქმულა საყვედური ზემდგომი ორგანოების მიმართ. სუსტად მუშაობს პროფკავშირული ორგანიზაცია, დიდია კადრების დენადობა, დაბალია ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების დონე, ისევ გრძელდება ქაღალდმთხზველობა და ძველი სტილით მუშაობა.

ეკიპაჟს არც სამეურნეო წარმატებებით გამოუჩენია თავი. შორეული 9 რეისიდან, ოთხის დავალება დროულად ვერ შეასრულეს. გემზე იყო შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევები, რისთვისაც დაისაჯნენ მექანიკოსი ნ. აბდიბა, მეზღვაურები რ. მინოსიანი, ა. მიკირტიჩიანი, ო. აბულაძე. ეს დარღვევები სუსტმა მომთხოვნელობამ, შრომის დისციპლინის შესუსტებამ განაპირობა.

წინა წლებთან შედარებით ფლოტის ყველა უბანზე ნაკლებია დარღვევები და დანაშაულობანი, გაუმჯობესდა ტექნიკური სამსახურის მდგომარეობა. კარგ მაგალითს უჩვენებენ „აკადემიკოს დავითაიას“, „ნოდარ დუმბაძის“, „დავით გურამიშვილის“ და სანაოსნოს ათობით სხვა ხომალდის ეკიპაჟი. მათი გამართული მუშაობის მეოხებით საქართველოს საზღვაო სანაოსნო, როგორც უკვე ვთქვით, მოწინავეთა შორისაა.

ამის შესახებ, კერძოდ, ლაპარაკი იყო გემ „დავით ბაქრაძის“ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. პარტიული ორგანიზაციის მდივანი მერაბ ბაძგარაძე შინაარსიანი მოხსენებით წარსდგა კრების წინაშე. ეკიპაჟი წლის პირველი ნახევრის შედეგებით მეორე ადგილზე გამოვიდა სანაოსნოში. ყველა რეისი წარმატებით შეასრულეს, საკუთარი ძალებით ჩაატარეს 9.853 მანეთის სარემონტო სამუშაოები, დაზოგეს 195 ტონა საწვავი, 45 საათი სვლისა და დგომის დრო. ეკიპაჟმა დანერგა 9 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის ეკონომიკური ეფექტია 24.500 მანეთი. ეკიპაჟი მრავალეროვანია, ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა ინტერნაციონალურ აღზრდას.

მომხსენებელი და კრების მონაწილეები — მოტორისტი ნ. ბაგრატია, კაპიტნის პირველი თანაშემწე [illegible] და სხვები შეეხნენ [illegible] გარდაქმნის პროცესებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განხილულ კარდინალურ საკითხებს, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. კრებაზე იგრძნობოდა, რომ კომუნისტები ანგარიშგება-არჩევნებისათვის გულდაგულ ემზადებოდნენ. გემის კაპიტანმა ევგენი პროხორსკიმ ანალიზი გაუკეთა საანგარიშო პერიოდში ეკიპაჟის საქმიანობას. — დიდი ხანი არ არის, რაც არენდით ვმუშაობთ, ამ ახლებურმა ექსპერიმენტმა უდავოდ გაამართლა, საკმაო გამოცდილება მივიღეთ, რაც იმის საწინდარია, რომ მომავალში უკეთეს შედეგებს მივაღწევთო, — თქვა მან.

სხვაგვარად წარმოჩინდა ხომალდ „ევგენი ვახტანგოვის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი ოლეგ ბალასანოვი. მის ხუთ-გვერდიანი მოხსენებიდან სამეურნეო საკითხებს, ეკონომიკურ მაჩვენებლებს, გარდაქმნასა და ტექნიკურ სიახლეებს, სხვა მტკივნეულ პრობლემებს მხოლოდ ნახევარი გვერდი დაეთმო, დანარჩენი ზოგადმა ფრაზებმა წაიღო...

ეს მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სჭირდებათ სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მეტი დახმარება და კონტროლი. მეზღვაურის ცხოვრება რომანტიკულია, ამავე დროს მრავალ სიძნელესთანაც არის დაკავშირებული. ოკეანის ტალღებთან ბრძოლა, ტროპიკულ ზონაში ცურვა, ოჯახთან თვეობით დაშორება ადვილი როდია. ამიტომაც პარტიული ორგანიზაციების მდივნების, გემების მეთაურთა მოვალეობაა, ღრმად ჩაიხედონ ყოველი მეზღვაურის სულში. ხანგრძლივი ცურვა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის შესრულება არ არის, ცურვის პერიოდი თავისებური სკოლაა, სადაც მეზღვაურები ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ. გაცილებით მეტია იმ მეზღვაურთა პასუხისმგებლობა, რომელთაც უცხოეთში უხდებათ ყოფნა. ისინი იქ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები არიან და სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა შრომობდნენ და ცხოვრობდნენ.

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რთველი — 89



გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში რთველი დაიწყო. მეურნეობის მშრომელებმა წელს უხვი მოსავალი მოიწიეს. გეგმის თანახმად სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 600 ტონაზე მეტი სუფრის ყურძენი. ჩინებული შედეგები აქვს რთველში მოიჯარეთა ბრიგადას, რომელსაც გ. ლურსმანაშვილი მეთაურობს. ეს კოლექტივი მისთვის გამოყოფილი 60 ჰექტარიდან თითოეულზე 60 ცენტნერამდე ყურძენს კრეფს.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი თ. კოვზირიძე და მოიჯარეთა ბრიგადირი გ. ლურსმანაშვილი.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

მოვლენათა ქრონიკა

რას გვპირდება კოოპერატივი „ქიმერიონი“

სიღნაღი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ათეული წლების წინათ ქ. წნორში კულტურისა და დასვენების პარკი გაუშენებიათ. როგორც გადმოგვცემენ, ომამდე პარკსა და კლუბში სიცოცხლე ჩქეფდა: პარკში ზაფხულობით „გრანდიოზული საღამოები“ იმართებოდა, რომელშიც ქალაქისა და მის ირგვლივ მდებარე სოფლების ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ქალაქის მესვეურთა დაუდევრობისა თუ გულგრილობის შედეგად პარკი გავერანდა, ხეები მოუვლელობით ხმება, ბუჩქები გადაიჯეგა, პარკის ირგვლივ შემოვლებული ღობის ძირები სანაგვედ იქცა.

და აი, წნორელ ახალგაზრდებს დაებადათ აზრი, ჩამოაყალიბონ კოოპერატივი, რომელიც არა მარტო აღადგენს და მოუვლის პარკს, არამედ კვლავ გამართავს ძველებურ საღამოებს, შექმნის ყველა პირობას მშრომელთა კულტურული გართობა-დასვენებისათვის. კოოპერატივს პოეტური სახელი „ქიმერიონი“ შეარქვეს. იგი წნორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატთან შეიქმნა და მას ამ კომბინატის ბრიგადირი გიორგი გელაშვილი ხელმძღვანელობს.

▼▼

ასე გადაწყვიტეს კომკავშირელებმა

თერჯოლა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). კომკავშირის თერჯოლის რაიკომში ამ ორიოდე წლის წინ გულთან მიიტანეს ობოლი დაძმების მალხაზ, ნატო და ნინო ქაშაკაშვილების ოჯახური მდგომარეობა. სამტრედიის ბავშვთა სახლიდან დაბრუნებულებს თანადგომა გამოუცხადეს, აიღეს ინიციატივა და უსახლკარო ახალგაზრდებს სოფელ ახალთერჯოლაში სახლი შეუძინეს, რომელშიც 10 ათასი მანეთი გადაიხადეს.

აქვე დაიბადა აზრი, რაიონის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის აეშენებინათ საცხოვრებელი სახლები. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დანიშნულებით 100 ათასი მანეთი გამოყო, რომელსაც საქველმოქმედო შაბათობებზე რაიონის ახალგაზრდების მიერ შეგროვილი თანხა 10 ათასი მანეთიც დაემატა.

უკვე შენდება ოთხი სახლი. სულ მალე ახალგაზრდების ინიციატივით აგებულ სახლებში ახალმოსახლეობას იზეიმებენ ნუნუ და დავით გეწაძეების, ზაირა და ამირან ურიადმყოფელების შვიდშვილიანი, მაყვალა და შალვა ქუბლაშვილების ცხრაშვილიანი, მარინა და ამირან გუნიავების ოთხშვილიანი ოჯახები.

გარდა ამისა, კომკავშირის რაიკომმა სოფელ ნახშირღელეში მარტოხელა დედას, კომკავშირელ ეკა გიორხელიძეს შეუკეთა საცხოვრებელი სახლი.

კომკავშირის რაიკომი ქმნის აგრეთვე წამახალისებელ ფონდს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ეს თანხა გადაეცემა ყველა ოჯახს ჯილდოდ მესამე, მეოთხე, მეხუთე და ა. შ. შვილის შეძენისთანავე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

საჭიროა გონივრული, დიფერენცირებული მიდგომა

ფიქრები დარგის დღევანდელობასა და მომავალზე

მიმდინარე წლის 16 აგვისტოს „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „განადგურებისაგან დავიცვათ ჩაის პლანტაციები“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ძალიან ბევრგან მეჩაიეები და მექანიზატორები მოურიდებლად და უხეშად არღვევენ ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესებს, თვითნაკეთი იარაღით, დანებითა და ნამგლებით სხეპენ ბუჩქებს, რაც ერთობ აკნინებს მათ და გახმობამდეც კი მიჰყავს. წერილი მოუწოდებდა ამ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და მშრომელებს, სპეციალისტებს, გაფრთხილებოდნენ ჩაის — ეროვნულ სიმდიდრეს, გეგმის გადაჭარბებით შესრულებას გამოდევნებულთ არ დავიწყნოდათ ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დარგის სპეციალისტები, თვით საზოგადოებრივი მეურნეობებისა და ზოგიერთი მეჩაიეობის რაიონის ხელმძღვანელებიც გაზეთის პოზიციას გაბედულად და საჭიროდ მიიჩნევენ. მხოლოდ იმას გვისაყვედურებენ, რომ დროულად არ ავტეხეთ განგაში. ამაში მათ ვერ დავეთანხმებით, რადგან ჩაის ფოთლის კრეფის პირველი დღეებიდანვე გაზეთში გამოქვეყნებული ყველა სარეიდო მასალა, მწვავე სიგნალები თუ მიმოხილვები მხოლოდ ერთ ძირითად მიზანს — ნედლეულის ხარისხის უცილობელ გაუმჯობესებას ემსახურებოდა. ამიტომ მუდამ მკაცრად ვაკრიტიკებდით უკონდიციო და უხარისხო ნედლეულის დამამზადებლებს, მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მესვეურებს, სპეციალისტებს, რომლებიც სათანადო ღონისძიებებს ვერ ახორციელებდნენ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გამოხმაურებათა მეორე, მოზრდილ ნაწილში კი სამართლიანი გულისტკივილი გამოსჭვივის: სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე ყოველნაირად ვცდილობდით პლანტაციები უხეში კრეფით არ დაგვეკნინებინა, გვეკრიფა მხოლოდ კონდიციური ჩაის ფოთოლი. გეგმას სეზონის ბოლომდე აუცილებლად შევასრულებთ, მაგრამ რა გამოდის? ვინაც „იყოჩაღა“ — გლიჯა თუ სხიპა ნედლეული, საგეგმო დავალებაც ადრე შეასრულა და ახლაც კრეფს. მათი ეკონომიკა და ბიუჯეტი მტკიცდება ზეგეგმითი ნედლეულის ღირებულებით. ჩვენ კი, გამოდის რომ, კუდში მივჩანჩალებთო.

საგულისხმო აზრია. კანონი ყველასათვის ერთნაირად უნდა მოქმედებდეს, ყველგან და ყველა ერთნაირად უნდა ზრუნავდეს კარგი დღევანდელობისა და უკეთესი მომავლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე რომ არ ხდება?

ამაში ყველა ადვილად დარწმუნდება, თუ ასევე ნებისმიერ ჩაის ფაბრიკაში პროდუქციის ნახევარფაბრიკატს ნახავს. იგი სავსეა წითელი ღეროებით. არადა, ეს ღეროები, გარდა იმისა, რომ ნედლეულის ხარისხს აუარესებს, ჩაის ბუჩქის საარსებო, სასუნთქი „ფილტვებია“. მაშ რად ვალლით ბუჩქებს ასე უმოწყალოდ?

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნით 1987 წელს მიიღეს დადგენილება „ჩაის პლანტაციების დაჩქარებული აღდგენისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ეს ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რადგან, ხომ ფაქტია, რომ ჩაის დამზადების „გაბერილმა“ გეგმებმა ხარისხის გაუარესებასთან ერთად თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა ჩაის პლანტაციები, ბუჩქები. ყოველივე ამის გათვალისწინებით დიდძალი თანხა გამოიყო ძველი პლანტაციების აღსადგენად და ახლის გასაშენებლად. ამავე დროს, საგრძნობლად, 130 ათასი ტონით შემცირდა ჩაის ნედლეულის დამზადების გეგმაც. ამრიგად, ჩვენც და ბუჩქებსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულის მოთქმის საშუალება მოგვეცა. შესაძლებელი გახდა ნორმალური მოვლა-პატრონობითა და კრეფის აგროწესების დაცვით მოგვეღონიერებინა ჩაის ბუჩქი. რად არ ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს?

მით უფრო, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო. ჩაის დეფიციტის შესავსებად ხომ დიდძალი დამატებითი თანხაა საჭირო, თანაც ვალუტით. რა საჭირო იყო ამის გაკეთება, თუ კვლავაც ხელაღებით განვაგრძობდით ნედლეულის დამზადებას? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შარშან შედარებით უფრო მეტი და ეფექტიანი ღონისძიება განხორციელდა ხარისხოვანი ნედლეულის დამზადებლად, ვიდრე წლეულს. უკონდიციო ნედლეულის დამზადებისათვის მკაცრად ისჯებოდნენ სპეციალისტები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების დირექტორები. პრესაც სისტემატურად წერდა ამის თაობაზე, რათა ეს სხვათათვის გაკვეთილი ყოფილიყო.

რევოლუციურმა გარდაქმნამ დღის წესრიგში დააყენა რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ჩვენ ამ გზაზე პირველი ნაბიჯების გადასადგმელად ვემზადებით. მაგრამ ამ მხრივ რაიმე წარმატებაზე ეკონომიკის განუმტკიცებლად ლაპარაკიც ზედმეტია. ჩაი კი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, ჩვენი და მომავალი თაობების ერთ-ერთი ძირითადი სარჩო-საბადებელია. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ბევრი, ვისზეც არის დამოკიდებული დარგის ბედ-იღბალი, მაგრამ პრაქტიკულად ბევრს არაფერს აკეთებს მისი გაფრთხილებისათვის, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ ხის ტოტს ჭრის, რომელზეც ზის...

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, რისთვისაც ძირითადად დაიწერა ეს წერილი. როგორც ცნობილია, 2005 წლამდე რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში 33 ათას ჰექტარზე უნდა გაშენდეს ჩაის ახალი პლანტაციები. სულ სხვა საკითხია ძველი პლანტაციების აღდგენა და რეკონსტრუქცია, ამოძირკვა და იმავე მიწაზე ახლის გაშენება, მაგრამ ახალი პლანტაციების გასაშენებლად ისედაც მცირემიწიან საქართველოში გვაქვს კი თავისუფალი ადგილი? მართალია, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მაინც გვსურს გაგაცნოთ ორი განსხვავებული მოსაზრება, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტებმა ადგილებზე ჩაიწერეს.

იგორ კოგალია — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი: „კომუნისტის“ 16 აგვისტოს პუბლიკაცია განვიხილეთ მეჩაიეთა სახელდახელო შეკრებებზე საზოგადოებრივი მეურნეობების მიხედვით. საკითხი სწორად არის დაყენებული, პლანტაციები შველას ითხოვს. სეზონის დაწყებიდან დღემდე ვიბრძვით კონდიციური და ხარისხიანი ნედლეულისათვის. უკონდიციო ნედლეულს ჩაის ფაბრიკები არ მიიღებენ და არ გადაამუშავებენ. და თუ ასეთი შემთხვევა გამოვლინდა, მათი ხელმძღვანელები მკაცრად დაისჯებიან და შეიძლება თანამდებობიდანაც მოიხსნან. ასევე გავაფრთხილეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებიც. გვწამს, ტრადიციას ამჯერადაც არ უღალატებენ ჩვენი მეჩაიეები და მექანიზატორები.

რაც შეეხება ახალ პლანტაციებს, რაიონში 2005 წლამდე პერიოდისათვის დაგეგმილია 4.300 ჰექტარზე ახალი პლანტაციების გაშენება. მაგრამ ამის საშუალება რომ არა გვაქვს? მით უფრო, რომ 1980 წელთან შედარებით დღეისათვის 4.514 ჰექტარით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ზოგი შავი ზღვის შემოტევამ წაგვართვა, ზოგიც — ქარისმიერმა და წყლისმიერმა ეროზიებმა. ამჟამად მრავალწლოვან ნარგავებს ძირითადად სახნავის ხარჯზე ვაშენებთ, რომელიც სულ 6.000 ჰექტარია. ამასთან, წყლისმიერი ეროზია ყოველწლიურად 10-15 ჰექტარ სავარგულს გვართმევს.

პრობლემას უფრო ართულებს შრომითი რესურსების ნაკლებობაც. ამჟამად მეჩაიეობაში საშუალოდ დასაქმებულია 12 ათასამდე კაცი, ახალი პლანტაციების გაშენების შემდეგ კი საჭირო იქნება 20-22 ათასი. და ეს მაშინ, როცა სოფლად დასაქმებულთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. მართალია, ტექნიკამ უნდა შეცვალოს ადამიანები, მაგრამ იმ ტექნიკასაც ხომ ადამიანები უვლიან და მართავენ...

ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ანალოგიურად უდგებიან ოზურგეთის, გალის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების ხელმძღვანელებიც.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის, რადგან მიწა და მუშახელი ასე არ უჭირთ და, ამდენად, ამ საკითხსაც სულ სხვანაირად უდგებიან.

რევაზ პატარაძე — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი: მუშახელის ძებნა და სხვა რაიონებიდან შემოყვანა არ გვჭირდება. ჩვენთან ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი, რამაც განაპირობა მუშახელის სიჭარბე. მათი დასაქმება გვიძნელდება. ამდენად ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება მათი დასაქმების საშუალებას მოგვცემდა. ეს საჭიროდ მიგვაჩნია იმის მიუხედავადაც, რომ სავარგულები გვიჭირს.

ჩაის კულტურა პირველად ჩაქვში გაშენდა. იგი შეიყვარეს აჭარლებმა. თავის ქებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ სადმე ამ მხრივ საქმე კარგად არის, ვფიქრობ, ქობულეთელები მათ არ ჩამორჩებიან. აქვთ კარგად მოვლილი პლანტაციები. ახალ ნარგავებსაც სანიმუშოდ უვლიან, ნედლეულის დამზადება და გადამუშავებაც ძირითადად კარგად მიმდინარეობს. შედეგიც ურიგო როდია. თუმცა კვლავაც ბევრია გასაკეთებელი და მოსაგვარებელი იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი ახალი აგროწესებით ვკრიფოთ, ნედლეულიც ხარისხიანი იყოს და ბუჩქებიც არ განადგურდეს. სეზონის დაწყებიდანვე ბევრი ღონისძიება განვახორციელეთ მეჩაიეების, ბრიგადების, მეურნეობების, კოლმეურნეობების, ჩაის ფაბრიკებისა და დარგის სხვა სპეციალისტების დასარაზმავად. შედეგიც საგულისხმოა, უკმაყოფილონი არა ვართ. ოღონდ მთავარ პრობლემად ამ ეტაპზე მაინც მეჩაიეთა და ნედლეულის გადამმუშავებელთა სოციალური პირობების მოგვარება მიგვაჩნია...

ანგარიშგასაწევი ფაქტებია. ბევრგან ძველი პლანტაციების მოვლა-აღდგენა უფრო უპრიანია, ვიდრე ახლის გაშენება და ამით ისედაც მცირემიწიან საქართველოში სავარგულების შემცირება. ეს სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს ახალი პლანტაციების გაშენების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყოთ, მაგრამ განა უმჯობესი არ არის, მაქსიმალური უკუგებით და ეფექტიანად გამოვიყენოთ ის, რაც გვაქვს? განვითარების ექსტენსიური მეთოდი ხომ სავსებით სამართლიანად არის უარყოფილი?

ამიტომაც ამ საქმეს გონივრული განსჯა და დიფერენცირებული მიდგომა სჭირდება. აჩქარება არაფერს გვარგებს.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

ისტორიის ფურცლები

ლუი ლე ფური

საქართველო და საერთაშორისო უფლება

გამძაფრებული საკითხი და იურიდიული უფლებამოსილება

მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიისათვის

წერილი მერვე

მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთი წინააღმდეგ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულობისა, რომლის თანახმად აღიარა საქართველოს სუვერენობა და უარი განაცხადა ჩარევაზე მის შინაურ საქმეებში, ხელახლა თავს დაესხა საქართველოს. 1921 წ. 11 თებერვალს რუსის ჯარები შეესივნენ საქართველოს და ცხარე წინააღმდეგობის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ხუთ კვირას, დაიკავეს მისი ტერიტორია 1921 წ. მარტის 20 (ცთილობდნენ დაერწმუნებინათ საზოგადოება (L'Humanité 1921 წ. 1 და 3 მარტის), რომ ვითომც ადგილი არ ჰქონდა საქართველოს სამხედრო ოკუპაციას რუსეთის მიერ. საქმე სხვანაირად იყო: ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა თვით შიგნით საქართველოში და რუსეთს არავითარი აგრესიულობა არ გამოუჩენიაო. მაგრამ თვით საბჭოთა წყაროებიდან წარმომდგარი საბუთები აბათილებენ ასეთს მტკიცებას. არსებობს საბჭოთა მეორე არმიის სარდლის ჰეკერის ანგარიში, 1920 წ. 18 დეკემბრის რიცხვით, რომელიც ააშკარავებს, რომ საქართველოში შესევა იყო წინასწარ გამზადებული. ამ მოხსენების დასკვნაში ვკითხულობთ: „ზემო დასახელებული მოსაზრებანი სრულებით იმისთვის არ მოვიტანეთ, რათა დავამტკიცოთ შეუძლებლობა შეტევისა საქართველოზე, არამედ იმას ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს შეტევა უნდა მოხდეს ბეჯითი მომზადების შემდეგ და დასრულდეს რაც შეიძლება მოკლე დროში" (მთავარი ადგილები ამ მოხსენებისა მოხსენებული აქვს დეპუტატს რენოდელს სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა საფრანგეთის პალატაში 1925 წ. 29 იანვარს). გვაქვს მეორე დოკუმენტი არა ნაკლებ მნიშვნელობისა. ტროცკიმ დასწერა 1922 წ. თავის წიგნში (იმპერიალიზმსა და რევოლუციას შუა): „ჩვენ არ გვაქვს არავითარი სურვილი დავფაროთ ან შევასუსტოთ საბჭოთა ჯარის მნიშვნელობა კავკასიის დაკავებაში". ამავე წიგნის მეორე ალაგას (გვ. 142) დასძენს: „საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, რათა წითელი ჯარები შესულიყვნენ ამ მხარეში". ასეთი განცხადებების შემდეგ შეუძლებელია რაიმე ეჭვი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა საქართველოს გასაბჭოება: მოხდა შემოსევა და არა რევოლუცია. ეს ოკუპაცია აქამდის გრძელდება. ამგვარად რუსეთმა ორჯერ დაარღვია წესიერად დადებული ხელშეკრულობა, დაიპყრო და დაიკავა საქართველო. და თუ ძველს იმპერიას შეეძლო 1801 წ. გაემართლებია ანექსია საქართველოს სისუსტით და მისი დაცვის საჭიროებით, საბჭოთა რუსეთს ეს არ შეეძლო, ვინაიდგან ახლა საქართველოს არც ერთს მეზობლისაგან არ მოელოდა საშიშროება, თუ არა თვით რუსეთისაგან.

IV

განვიხილოთ ეხლა საქართველოს იურიდიული მდგომარეობა, როგორიც არის დღეს. ეს მდგომარეობა ცოტა უფრო რთულია საერთაშორისო საჯარო უფლების თვალსაზრისით, ვიდრე იყო 1801 წ. ანექსიით შექმნილი.

სანამ გავარკვევდეთ ამ საერთაშორისო მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტი ოკუპაციისა რუსეთის მიერ არასოდეს არ უცვნია კანონიერად ქართველ ხალხს. ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთი შეიძლება დავასახელოთ: არაპირდაპირი — ის, რომ რუსეთი იძულებულია დიდი ჯარი იყოლიოს საქართველოში (რენოდელის სიტყვა, გვ. 25 და 26), რაც იმას ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია არსებობა მხოლოდ ძალის შემწეობით. შემდეგ როცა ეროვნული მთავრობა შეეცადა საკითხი არბიტრით ან პლებისციტით გადაწყვეტილიყო, საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა. ხოლო ყველაზე პირდაპირი საბუთია 1924 წ. აგვისტო-სექტემბრის აჯანყება, რომელიც მთელს საქართველოს მოედვა. ეს აჯანყება საბჭოთა მთავრობამ ველურად ჩააქრო; ხოლო ამის შემდეგ ხალხური აჯანყებანი რუსის ოკუპანტების წინააღმდეგ არასოდეს შეწყვეტილა. მოძრაობამ თითქმის საერთო ხასიათი მიიღო და გაგრძელდა 1929 წ. შემდეგ, როცა კავკასიაში მიწების კოლექტივიზაციას შეუდგნენ. პარტიზანების ბრძოლას გაძლიერება დაეტყო 1932 წ. ეს აჯანყებანი, რომლებაც ხან აქ იფეთქებდა და ხან იქ, რასაკვირველია იწვევენ ახალ და ახალს რეპრესიებს საბჭოთა მთავრობის მხრით.

ვნახოთ ეხლა საქართველოს დღევანდელი იურიდიული მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით. ეს მდგომარეობა, როგორც ვსთქვით უკვე, 1801 წლისაზე უფრო რთულია. რუსეთის ანექსიის შემდეგ საქართველო აღარ იყო ნამდვილად საერთაშორისო პიროვნება. სრულებით ესევე არაა დღეს. მართალია საქართველო ძალით გაასაბჭოვა რუსეთმა და იგი წევრ რესპუბლიკის სახელით შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში (აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლს, რომელიც უტოვებს წევრრესპუბლიკებს კავშირის დატოვების თავისუფლებას. 1924 წ. ქართველმა ერმა სწორედ გამოაცხადა თავისი სურვილი კავშირიდან გასვლისა. ეს სურვილი ჩაახშვეს რუსის სამხედრო ძალებმა. მაშ რაღა იქნა მე-4 მუხლი? ეს აშკარად გვიჩვენებს იმას, რომ საბჭოთა კონსტიტუციის არც ერთი მუხლი მიტომ არ არსებობს, რომ გამოიყენონ). მაგრამ ეს იძულებითი გასაბჭოება არ უცვნია უცხოელ სახელმწიფოების მეტ ნაწილს, და ზოგან ძველი სახელმწიფოს წარმომადგენლობა არსებობს ისევ; ასეა მაგალითად საფრანგეთში, სადაც იმყოფება საქართველოს ლეგაცია. ცხადია, საფრანგეთს არასოდეს უცვნია საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ.

როცა დაისვა საკითხი ს. ს. რ. კავშირის ცნობისა ზოგიერთ უცხოელ სახელმწიფოების მიერ, რუსეთი შეეცადა, რომ ეცნოთ მისი სუვერენობა საქართველოზე. მაგრამ ეს მოთხოვნა არასოდეს ყოფილა მიღებული უცხოელ სახელმწიფოებისაგან. დიდმა ბრიტანეთმა რომ ს. ს. რ. კავშირი იცნო, თავის ნოტაში შემდეგი განსაზღვრა შეიტანა: „ბრიტანეთის მთავრობა ცნობილობს ს. ს. რ. კავშირს როგორც მთავრობას de jure ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც სცნობენ მის ხელისუფლებას". ეს რეზერვი გარკვევით ჰგულისხმობდა საქართველოს (იხ. მაკდონალდის და ჯილბერტ მურეის განცხადებანი 1924 წ. 25 სექტემ. ნაციათა ლიგის მეხუთე ყრილობაზე. პირველი იყო ბრიტანეთის იმპერიის, ხოლო მეორე კანადის წარმომადგენელი. Journal offic. de la S. D. N., Actes de la cinquiéme Assem., გვ. 163-164), სადაც ხალხმა არამც თუ არ მიიღო საბჭოთა მთავრობა, არამედ გამუდმებით უჯანყდება მას.

საფრანგეთის ნოტაში, რომლითაც მან იცნო ს. ს. რ. კავშირი, ნათქვამია, რომ სცნობს მას „როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიების მთავრობას, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ". ამ ნოტაში გარდა ამგვარ საზოგადო რეზერვისა არის პირობა კიდევ უფრო გარკვეული საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, რომლის თანახმად ეს ცნობა (ს. ს. რ. კავშირისა) „ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას".

რომ აქ სწორედ საქართველოა ნაგულისხმევი, ამას ამტკიცებს ჰერიოს გამოსვლა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში 1922 წ.: „საქართველოს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულობით რუსეთმაც: ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას". პუანკარემ ამაზე მეტად ნათელი პასუხი გასცა: „პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოსთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. და უკანასკნელს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარები" (იხ. Journ. offic. 1922 წ. აპრილის 2. გვ. 1357, 1359-1360. აგრეთვე Noulens, La reconnoissance internation. de nouveaux gouvernements, dans Séances et travaux de l'Académie Diplomatique internation. 1930 წ. აპრილ-ივნისი. გვ. 120. იხ. აგრეთვე სოციალისტური ჯგუფის წერილი მთავრობის თავმჯდომარის ჰერიოს მიმართ 1924 წ. ივლისის 3: „სოციალისტური პარტია სურვილს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადოს: იგი სავსებით სცნობს de jure ს. ს. რ. კავშირის იმ საერთაშორისო აქტების გამოკლებით, რომელთა ძალით ცნობილი იყო de jure დამოუკიდებლობა ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოსულ სხვადასხვა სახელმწიფოთა, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ საფრანგეთის მთავრობასთან").

მართლაც, 1921 წ. თებერვლის 25-დან, როცა საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა მინისტრმა თავის რწმუნებულობას ქაღალდები წარუდგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. საქართველოს ლეგაცია დაარსებულია პარიზში. რადგან ს. ს. რ. კავშირის ცნობა de jure საფრანგეთის მიერ „ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას", ეს იმას ნიშნავს, რომ აგი ვერ შეცვლის საქართველოს ცნობას საფრანგეთის მიერ, რაიც მაზე ადრე მოხდა. ამ ცნობამ (საქართველოსამ), რომელსაც არავითარი პირობა არ ახლდა, დააკისრა საფრანგეთს, მიიღოს ამიერიდან ახალი სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო უფლებას სუვერენული პიროვნება.

კიდევ მეტი, საქართველოს ცნობა დადასტურებული იყო ნათლად მრავალი საერთაშორისო აქტით შეთანხმებულ და შეკავშირებულ სახელმწიფოების მიერ. რუსეთის წარმომადგენელი ორჯელ შეეცადა, რომ დაშვებული ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენციებზე, ვითარცა საქართველოს დელეგატი, მაგრამ ორჯელვე უნაყოფოდ. პირველად ეს იყო გენუის კონფერენციაზე 1922 წ. საფრანგეთის მთავრობა თავის დელეგაციისათვის (რომლის თავმჯდომარე ლუი ბარტუ იყო) მაცემულ ინსტრუქციებში სპეციალურად აღნიშნავს, რომ რუსეთის დელეგატები არ უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი საქართველოს წარმომადგენლებად (აი, რა ეწერა ინსტრუქციაში, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ დეპუტატთა პალატაში წაიკითხა: „საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად იცნო დე-იურე საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიურ ძალაუფლების წარმომადგენელებთან, რომელმაც საქართველოდან გამოაძევა მისი წესიერი მთავრობა". Journ. offic. 1922 წ. 2 ივნისი. გვ. 1643). საფრანგეთის დელეგაციის თვალსაზრისი გაიზიარეს ბრიტანეთის და სხვა დელეგაციებმა და რუსთა დელეგაციის ყოველმა ცდამ ამ შეხედულობის შესაცვლელად უნაყოფოდ ჩაიარა.

აგრეთვე ჩაიფუშა მეორე ასეთივე ცდა ლოზანის კონფერენციაზე 1922-23 წლ. რუსების დელეგაციის მოთხოვნით საქართველო და უკრაინა შეტანილ იქნენ კონფერენციის პროტოკოლებში. მაგრამ განმარტებულ იქნა კონფერენციის მთავარ მდივნის მასილის მიერ კონფერენციის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, რომ ეს შეტანა ისე არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ უკრაინა და საქართველო წესიერად არიან წარმოდგენილნი კონფერენციაზე (მასილის წერილი რუსთა დელეგაციის მდივნის საბანინის მიმართ მოთავსებულია ლოზანის კონფერენციის პროტოკოლებში).

გარდა ამისა, ლონდონის, პარიზის და რომის მთავრობათა მოთხოვნით, სრუტეების შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მხოლოდ რუსეთის სახელით. აღვნიშნავთ დაბოლოს, რომ სრუტეების შეთანხმებამ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების წინადადებით ერთი ადგილი საქართველოსთვის შეინახა საკონტროლო კომისიაში (იხ. სრუტეების შეთანხმების მუხ. 12).

საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებმა არა ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სურვილი, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს. ამით მათ უარყვეს, იცნონ ის ფაქტივური მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საქართველოში საბჭოთა შემოსევის გამო.

აგრეთვე ნაციათა ლიგა ბევრჯელ შეეხო საქართველოს საკითხს. სახელდობრ მესამე კრებამ ერთხმად მოიწონა ბელგიის წარმომადგენლის წინადადებით შემდეგი რეზოლუცია საქართველოს შესახებ:

„ნაციათა ლიგის კრება, განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდებს საბჭოს დაბეჯითებით ადევნოს თვალყური ამბებს ამ მხარეში, რომ ისარგებლოს გარემოება, რომელიც დაეხმარება, მშვიდობიანი გზით და თანახმად საერთაშორისო უფლების წესებისა, ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენას" (1929 წ. 22 სექტემ. რეზოლუცია. Jour. offic. de la S. D. N. Actes de la 3 Assemblée, გვ. 203).

ამის შემდეგ 1924 წ. სწორედ იმ დროს, როცა შემდგარი იყო ნაციათა ლიგის მეხუთე კრება, საქართველოში იფეთქა აჯანყებამ საბჭოთა წინააღმდეგ. საფრანგეთის წარმომადგენლის პოლ-ბონკურის წინადადებით საფრანგეთის, ბრიტანეთის და ბელგიის დელეგაციებმა რეზოლუცია შეიტანეს საქართველოს შესახებ. ამ რეზოლუციამ, რომელიც ერთხმად იყო მიღებული ლიგის კრების მიერ 1924 წ. 25 სექტემბერს, განაახლა 1922 წ. 22 სექტემბრის რეზოლუცია. ახალი რეზოლუცია თხოვდა ლიგის წევრ-სახელმწიფოების მთავრობებს მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, მიაწოდონ ინფორმაცია და გარემოებისა და საშუალების მიხედვით დაეხმარონ თავის მშვიდობიანი გავლენით (Journ. offic, de la S. D. N., Actes 1924 წ. გვ. 165).

ყოველ ამ საერთაშორისო აქტს, რომელთა საშუალებით ზოგიერთმა სახელმწიფოებმა და თვით ნაციათა ლიგამ უარი თქვეს, იცნონ საქართველოში შექმნილი ფაქტივური მდგომარეობა წინააღმდეგ მისი სრულიად უდავო უფლებებისა, — დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ აქტების გახსენება შეიძლება, როცა დაისმება საკითხი რუსეთის მიღებისა ნაციათა ლიგაში. მართალია, დღეს რუსეთი მტრულად უყურებს ჟენევის დაწესებულებას და ასე იქნება განწყობილი კიდევ დიდხანს. მაგრამ არაა შეუძლებელი მისი შეხედულობის შეცვლა ახლო თუ შორეულ მომავალში. მაშინ ძნელი აქნება ნაციათა ლიგისთვის, საქართველოს სასარგებლოთ მიღებულ ამდენი რეზოლუციის შემდეგ, გვერდი აუქციოს მის დამოუკიდებლობას და არ წამოაყენოს ამის ცნობა რუსეთის მიერ, როგორც პირობა რუსეთის მიღებისა ლიგაში (ნაციათა ლიგას პაქტის პირველი მუხლის მეორე პარაგრაფი).

დღეს ამ საკითხს პრაქტიკული ინტერესი აქვს საფრანგეთის და ს. ს. რ. კავშირის ურთიერთობასათვის. ყველამ უწყის, რომ ს. ს. რ. კავშირი რაღაც მოსაზრებისა გამო, რომელსაც აქ არ შევეხებით, ცთილობს თავდაუსხმელობის პაქტები შეკრას ევროპის სახელმწიფოებთან. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ჯერ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და მერე საფრანგეთთან. ამგვარი ხელშეკრულობა წანასწარის სახით ამას წინად დასდევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა კანცელარიამ და ს. ს. რ. კავშირის ელჩმა პარიზში. აი ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლი ასეა შედგენილი:

„თითოეული მაღალი მხარე ხელშეკრულობასა ვალდებულია ყოველნაირად პატივი სცეს მეორე მხარის სუვერენობას მთელ მის ტერიტორიებზე იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრული არიან ამა ხელშეკრულობაში, არ ჩაერიოს არავითარი საშუალებით მის შინაურ საქმეებში, სახელდობრ თავი შეიკავოს ყოველი მოქმედებისაგან, რომელიც აღძრავს ან ხელს შეუწყობს ყოველნაირ აგიტაციას, პროპაგანდას თუ ინტერვენციის ცდას მეორე მხრის ტერიტორიალურ მთლიანობის წინააღმდეგ ან ძალით პოლიტიკური თუ სოციალური რეჟიმის შესაცვლელად მთელ მის ტერიტორიაზე ან ნაწილზე.

„ორივე მაღალი მხარე ხელშეკრულობისა ვალდებულობას ჰკისრულობენ განსაკუთრებით, არ შექმნან, არ გაუწიონ მფარველობა, არ დაეხმარონ მოწყობილობით, ფულით, არ მასცენ ყოფნის ნება თავიანთ ტერიტორიაზე სამხედრო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია შეიარაღებული ბრძოლა მეორე მხარის წინააღმდეგ, და არც იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ითვასებენ მეორე მხარის მთელი ტერიტორიის თუ ნაწილის მთავრობის გინდ წარმომადგენლის სახელს".

საფრანგეთი ამ ხელშეკრულობას სდებს ს. ს. რ. კავშირთან. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იგი სცნობს ფაქტავურ ხელისუფლებას საქართველოში, რადგან უკანასკნელი ძალით შეუერთეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს? ეს იქნებოდა აშკარა წინაამდეგი იმ მრავალ საერთაშორისო აქტისა, რომლებიც ჩვენ დავასახელეთ და რომელთაგან ზოგი საფრანგეთისაგან მომდინარეობდა, და საფრანგეთი ხომ ყოველთვის პატივს სცემდა და ასრულებდა მაცემულს სიტყვას.

თუ განსაკუთრებით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულობის პროექტის მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი ჰგულისხმობს საქართველოს ლეგაციას, რომლის არსებობა არას დროს შეწყვეტილა, ეს იქნებოდა სრული გაწყვეტა, ფარული სახით და ნაკლებად შესაფერით დიდი ქვეყნისა, იმ მამართულების, რომელსაც ყოველთვის მისდევდა იგი რუსეთის რევოლუციის შემდეგ. ამგვარი განმარტება იქნება წინაამდეგი საფრანგეთის ყველა ტრადიციის, როგორც საერთაშორისო ვალდებულობათა პატივცემულობის ასე მოქმედებისა იმ ერების მიმართ, რომლებიც იბრძვიან თავიანთ თავისუფლებისათვის.

ცხადია, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუშალოს, რათა მისი ტერიტორია არ აქნეს გამოყენებული მოქმედებისათვის სხვა სახელმწიფოთა უშიშროებისა და შინაურ წესიერების წინააღმდეგ (იხ. სახელმწიფოების ვალდებულებათა დეკლარაცია, მოწონებული საერთაშორისო უფლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასოციაციების მიერ ჩემს Précis de droit international public, № 663, წერ. C.). მაგრამ საქართველოს შემთხვევაში საქმე ეხება არა კრიმინალურ აქტების მომზადებას, არამედ ჯეროვნად აღიარებულ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლობას, რადგან საქართველოს ლეგაცია დღემდე არის წესიერი დიპლომატიური წარმომადგენლობა ამ სახელმწიფოსი რომლის ახალი ოკუპაცია საფრანგეთს არ უცვნია.

მხოლოდ ასეთი განმარტება, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ტრადიციებს, და მთელი წინანდელი მოქმედება უკანასკნელისა საქართველოს მიმართ დადასტურებულია თვით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულობის შესავლით. მართლაც იქ გარკვეულად არის გამოცხადებული, რომ ორივე მთავრობას „ნაკისრი აქვს საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე", და მათ „ესმით, რომ, არც ერთი ამ ვალდებულობათაგანი არ დააბრკოლებს მათ ურთიერთის დამოკიდებულობის მშვიდობიან განვითარებას და არ ეწინააღმდეგება ამა ხელშეკრულობას".



ასეთი განცხადება რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობაში უეჭველად არ ჰგულისხმობს საფრანგეთის მიერ წინად დადებულ ხელშეკრულობებს ბოლივიასთან თუ აბაშეთთან; ამას შეუძლია მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდეს — ის, რომ გაიხსენოს ის რეზერვები, რომლებიც უკვე გააკეთა ბევრჯელ თავის ურთიერთობაში ს. ს. რ. კავშირთან, განსაკუთრებით გენუას და ლოზანის კონფერენციებზე. მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი რომ საქართველოს ჰგულისხმობდეს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნებოდა აშკარა წინააღმდეგობა ერთი და იმავე ხელშეკრულობის ორ დებულებას შორის. მაგრამ განმარტების (ინტერპრეტაციის) ელემენტარული წესი მოითხოვს, რომ როცა ხელშეკრულობაში ორი მუხლი გარეგნულად თითქოს ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, ისეთი განმარტება უნდა მივიღოთ, რომ ეს ორი მუხლი შევათანხმოთ და არა დავუპირდაპიროთ ერთი მეორეს.

აქვს თუ არა აქ ადგილი ასეთ განმარტებას, რომელიც თავიდან აგვაცდენს ნაჩვენებ წინააღმდეგობას? აქვს და ეს განმარტება მეტად მარტივია და ცხადი და ორი, სრულად ნათელი, ტექსტისათვის არც შეიძლება მივმართოთ სხვა განმარტებას. ამ განმარტებით, როცა ორივე სახელმწიფო ამბობს, რომ „მათ ნაკისრი აქვთ საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე", ეს ჰგულისხმობს საქმეთა აწინდელს უფლებრივ ვითარებას (და უეჭველია, არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან ამის საწინააღმდეგო არაფერია დადებითი ნაჩვენები); მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი კი ჰგულისხმობს მომავალს. საფრანგეთი მომავლისათვის ჰკისრულობს ვალდებულობას, არ მისცეს ყოფნის ნება თავის ტერიტორიაზე არავითარ ორგანიზაციას, რომელიც ითვისებს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიების რომელიმე ნაწილის მთავრობის და წარმომადგენელის როლს და ცთილობს ამიერითგან კავშირიდან გამოყოფას. ხოლო ეს ვალდებულება ვერ შეეხება საფრანგეთის მიერ წინად ნაკისრ ვალდებულებათ, რომელთა შორის (ამათთან ერთად, რომლებიც ეხებიან ამგვარადვე ყოფილ რუსეთისაგან გამოყოფილ სახელმწიფოებს) არის ცნობა საფრანგეთის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის.

საქართველოს წინანდელი და დღევანდელი მდგომარეობის ამ ობიექტიური განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ქვეყანა უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს დამოუკიდებლობა ორჯელ იყო ძალით დარღვეული წინაამდეგ გარკვეულ ვალდებულებათა; მოხდა ძალობის ფაქტები, რომელთა წინაამდეგ ყოველთვის ენერგიულ პროტესტს აცხადებდნენ გადაყენებული მთავრობანი და თვით ხალხი გამუდმებული აჯანყებებით.

დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ცნობილი იყო ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, მათში საფრანგეთიცაა; პირიქით მათ არასოდეს უცვნიათ რუსთა ბატონობა ამ სახელმწიფოში, ამაო იყო ს. ს. რ. კავშირის ყოველივე ცდა ამისთვის ევროპიულ კონფერენციებზე.

რაც შეეხება საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმებას — რომელიც ეხება ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს და არა აქვს საზოგადო ხასიათი — ეს ჯერ მარტო პროექტია და მისი რატიფიკაცია არ მომხდარა, როგორც ამას მოითხოვს შეთანხმების მეექვსე მუხლი. რომ ჯერ მხოლოდ პროექტია უბრალო, ამით აიხსნება ის საიდუმლობა, რომლითაც მოცულია იგი დღემდის და რომელიც არაჩვეულებრივი იქნებოდა, როდესაც ნაციათა ლიგის პაქტის მე-18 მუხლი მოითხოვს მის წევრების ყოველ ხელშეკრულობას რეგისტრაციას. და თუ მოხდა მისი რატიფიკაცია, საღი იურიდიული ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ მას არ მიეცეს ისეთი აზრი, რომელიც წინააღუდგებოდა თვათ მასვე და საფრანგეთის მთელს წინანდელს მოქმედებას.

ყველა ამ მოსაზრებისა გამო უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა შემოსეულ სახელმწიფოსი საქართველოს მიმართ წარმოადგენს წმინდა ფაქტის მდგომარეობას, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ძალადობის ფაქტის მდგომარეობას, რომელიც დაგმობილია თანამედროვე საერთაშორისო უფლებით. საქართველოს დამოუკიდებლობა უფლებრივად განაგრძობს არსებობას; იგი მოწოდებულია, გაცოცხლდეს კვლავ, როგორც კი მოისპობა ის დაბრკოლება ფაქტიური, რომელიც წინ ელობება.

საქართველო მუდამ გაერთიანებული იყო როგორც ჩრდილოელ ისე სამხრეთელ თავდამსხმელების წინააღმდეგ; თუ ის გააგრძელებს თავის ერთსულოვან წინააღმდეგობას, როგორც სურვილს აცხადებს, მოქმედებით და არა მარტო სიტყვით, მისი ბედი იქნება, იმედი უნდა ვიქონიოთ, ისეთი, როგორიც იყო ყველა ერის, ერთსულოვანად რომ უნდოდათ დამოუკიდებლობა; იშვიათად თუ მათ არ გაუმარჯვნიათ ადრე თუ გვიან. გასულ საუკუნეში ამის მშვენიერი მაგალითი მოგვცეს საბერძნეთმა, ბალკანეთის და დუნაის სახელმწიფოებმა; ჩვენს საუკუნეში, რომელიც მხოლოდ დაწყებულია, აი განთავისუფლდნენ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, ეგვიპტე. უნდა ვისურვოთ, რომ ამ სიას, რომელიც გრძელია, ხოლო ჯერ კიდევ არაა სრული, მიემატოს არა დაგვიანებით ახალი სია ერთა, რომელნიც კვლავ აღადგენენ თავიანთ დამოუკიდებლობას უცხოელთა ხანგრძლივ თუ მოკლე ბატონობის შემდეგ.

1932. VII

ამჯერად ამით ვამთავრებთ საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიასთან დაკავშირებული მასალების სერიის ბეჭდვას. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ თითქოს ამოვწურეთ ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის გარშემო ჩვენში უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალების პუბლიკაცია. რაც შეეხება სხვა შრომებს, როგორიცაა, მაგალითად, ვ. ნოზაძის „დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში", მ. ხუნდაძის „საქართველოს დაპყრობა და ევროპა", მ. წერეთლის „ქართველი ერის უფლებები", ნ. ჟორდანიას „საქართველოს პრობლემა", ე. გეგეჭკორის „საქართველოს მომავალი", ამასთან, დოკუმენტების კრებული „საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში" (პარიზი, 1925) და საქართველოს დამცველი ინტერნაციონალური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ე. მალოს შრომა „საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა" (ჟენევა, 1926) და ზოგი სხვა პირველწყარო (ზ. ავალიშვილის, გრ. ურატაძის, რ. გაბაშვილის, დ. ვაჩნაძის, გ. კვინიტაძისა), გავაცანი და სარგებლობისათვის გადავეცი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შექმნილ კომისიას. იგი სწავლობს საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ და იურიდიულ ასპექტებს და თავისი წინასწარი დასკვნით წარსდგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამა წლის 30 სექტემბერს.

გურამ შარაძე.

დიალოგის ფართო სარბიელი

რასაც ვლაპარაკობთ და ვაკეთებთ

ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისათვის ძირითადია ადამიანის ფაქტორის ამოქმედება, პიროვნების ნიჭისა და უნარის გაშლა-განვითარება. ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა ფუჭი და უმოქმედოა, თუ ის არ იწვევს ადამიანის საქმით დაინტერესებას, არ კმარა მასები დაეუფლოს იდეას, იდეა უნდა დაეუფლოს მასებს და მაშინ ხდება იგი მატერიალურ ძალად. ეს პროცესი რთულია, მოითხოვს მოქნილი და კომპლექსური მეთოდებით მუშაობას. თუნდაც თავისთავად ჭეშმარიტი იდეა მხოლოდ მაშინ გახდება სასარგებლო, როცა ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ორგანული ნაწილი გახდება.

შიშის ძალით ამოქმედებული ადამიანი კარგავს ორიგინალობას, შემოქმედებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. შიში კი არ ქმნის წესრიგს, არამედ ფარავს უწესრიგობას, იწვევს გონების გამოფიტვას, მის დამონებას. დაინტერესება კი პირიქით, აამოქმედებს ადამიანის მთელ შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ არის გარდაქმნისათვის აუცილებელი არა ძველი მეთოდები, მიღებული ხერხები, არამედ გონიერება, აზროვნების განვითარება და ემოციების რეგულირება. ამისათვის აუცილებელია ფართო დემოკრატიზაცია, კამათის კულტურა, დიალოგი მაღალ დონეზე.

ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა. „ცოდნის" პრეზიდიუმთან შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სადისკუსიო კლუბი, ჩატარდა ორი სხდომა, მოსმენილი იქნა პროფესორ გ. შარაძის მოხსენება ქართველ ემიგრანტებზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხებთან დაკავშირებით. მოხსენებებმა გარკვეული დაინტერესება გამოიწვია, იყო კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია და ჩვენი დღევანდელი სიტუაცია გაცილებით მეტს მოითხოვს. მთავარია არა ცნობისმოყვარეობა, არამედ ცოდნისმოყვარეობა. მეცნიერება ხომ უშუალო მწარმოებელი ძალაა. მაღალ დონეზე მისი ამოქმედების შედეგად აღწევენ წარმატებებს მოწინავე ქვეყნები. ამიტომაა საჭირო უპირველესად დიალოგი ფუნდამენტური თეორიების პრაქტიკულად დანერგვისათვის. საჭიროა სადისკუსიო კლუბში დაყენებული იქნეს ჩვენი საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები, გაირკვეს ეკონომიკის, სოციალურ სფეროებში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და შემუშავებული იქნეს მეცნიერული რეკომენდაციები მათი გამოსწორებისათვის. დემოკრატიზაციის პროცესებშიც არის სერიოზული ჩავარდნები, რომელთა გამოსწორება დიდად შეუწყობს ხელს მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდის დაძლევას. ამიტომ სადისკუსიო კლუბში უნდა იყოს დიალოგი რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი განხორციელებისათვის.

სწორედ ამიტომ სადისკუსიო კლუბი თხოვს ყველა სპეციალობის მეცნიერს, ინტელიგენტს, მშრომელებს, ახალგაზრდებს დააყენონ საჭირბოროტო საკითხები, წინადადებანი ჩვენში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის.

დიალოგი უნდა წარიმართოს მეცნიერულ დონეზე, მოკამათე ადამიანისადმი პატივისცემის ნიშნით, არა დეკლარაციებით, არამედ დასაბუთებით, ემოციების რეგულირებით; მთავარი ის კი არ უნდა იყოს, თუ ვინ ლაპარაკობს, არამედ ის, თუ რას ლაპარაკობენ.

ვფიქრობთ, დიალოგის გზით განხილული და მოწონებული ცალკეული რეკომენდაციების დანერგვით კლუბი თავის წვლილს შეიტანს საერთო წინსვლაში.

ვლადიმერ გულუა,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.

უცხოეთში

საქდესის [illegible]
11 სექტემბერი

• სსრ კავშირი-ირანი

ნაყოფიერი თანამშრომლობა

თეირანი. გაზეთმა „ქეიჰან ინტერნეშნლმა" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის მდგომარეობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ იგი ნაყოფიერად ვითარდება.

ა. ა. ჰაშემი-რაფსანჯანის ვიზიტი მოსკოვში და მისი შედეგები ნამდვილად შემობრუნების მომენტია ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში, წერს გაზეთი. დღეს თეირანსა და მოსკოვს შორის დამყარებულია მეგობრული კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთინტერესები. უარყოფს რა ევროპასა და ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებების გამონათქვამებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირთან აქტიური კავშირურთიერთობის დამყარებისას არ ისახავდა მიზნად დასავლეთის წაქეზებას წასულიყო დათმობებზე ირანის მიმართ.

მოსკოვში ა. ა. ჰაშემი-რაფსანჯანის ვიზიტის სხვა მნიშვნელოვან შედეგად გაზეთი ასახელებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას, რასაც, მისი აზრით, მოჰყვება პოზიტიური ცვლილებები სპარსეთის ყურის ზონაში.

ახლო აღმოსავლეთი

შეიარაღებული შეტაკებანი

ბეირუთი. ბეირუთის რადიოსადგურების ცნობით, არტილერიის ცეცხლი კვლავ დაუშინეს ქრისტიანულ სანაპიროს ლიბანის დედაქალაქის ჩრდილოეთით. რამდენიმე ჭურვი აფეთქდა აღმოსავლეთ ბეირუთის აშრაფიის რაიონში. არ წყდება შეიარაღებული შეტაკებანი მთიან ლიბანში, სადაც პროგრესულ-სოციალისტური პარტიის შეიარაღებული შენაერთები წინააღმდეგობას უწევენ არმიის ნაწილებს, რომლებიც ემორჩილებიან ქრისტიანული, სამხედრო გარდამავალი მთავრობის მეთაურს გენერალ მ. აუნს. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების და გრანატსატყორცნების გამოყენებით სროლა გრძელდება ბეირუთის ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სექტორებად გამყოფ „მწვანე ხაზზე". დრო და დრო ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენენ ხაზის მიმდებარე საცხოვრებელ უბნებს.

საპროტესტო მანიფესტაციები

კაირო. „ოკუპანტებო, წაეთრიეთ ჩვენი მიწა-წყლიდან!", „დაუბრუნეთ პალესტინელ ხალხს მისი კანონიერი ეროვნული უფლებები!", „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია!" — ასეთი, ლოზუნგებით გაიმართა არაბთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები აღმოსავლეთ იერუსალიმში, ნაბლუსში, ღაზში და ისრაელის მიერ დაპყრობილი არაბული ტერიტორიის სხვა ქალაქებში. ოკუპანტებმა საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა დასარბევად გამოიყვანეს არმიის ქვედანაყოფები, რომლებიც ვერტმფრენებით გადასხეს. მანიფესტაციის დარბევის დროს ღაზში მოკლეს პალესტინელი მოზარდი, 110 არაბი დაიჭრა. რამილაჰის, ელ-ბირისა და ახლომდებარე სოფლები დახურულ სამხედრო ზონებად არის გამოცხადებული, სადაც მიმდინარეობს მასობრივი ჩხრეკა, შემოღებულია კომენდანტის საათი.

სურათზე: ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ პალესტინელ არაბთა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციის დროს.

საქდესის ფოტო.

• საფრანგეთი

„ლუმანიტეს" დღესასწაული

პარიზი. ფრანგ კომუნისტთა გაზეთ „ლუმანიტეს" ტრადიციული დღესასწაული გრანდიოზული მიტინგით დამთავრდა პარიზის გარეუბნის და კურნევის საფესტივალო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე.

ორდღენახევრის განმავლობაში აქ ზღვა ხალხი შეკრებილიყო, დღესასწაულის მონაწილეთა ყურადღების ცენტრი იყო საფრანგეთის შინაპოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველაზე აქტუალური საკითხები, განიარაღებისა და მშვიდობისათვის, პლანეტის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის ბრძოლის პრობლემები. საფრანგეთის კომპარტიის, სადეპარტამენტო ფედერაციებისა და მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების პავილიონებში გამართული დისკუსიებისა და მიტინგების მთავარი თემა იყო ბრძოლა პარტიის რიგების შეკავშირებისათვის, ქვეყნის მშრომელთა სოციალურ მონაპოვართა დაცვისათვის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებისათვის, ზემოგებათა შემცირების ხარჯზე ხელფასის გადიდებისათვის.

შემთხვევა

ავარია დუნაიზე

სოფია. გასულ კვირას დუნაიზე, რუმინეთის ნავსადგურის გალაცის მახლობლად ერთმანეთს შეეჯახა რუმინეთის სამგზავრო გემი „მოგოშოაია", რომელზეც იმყოფებოდა 169 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი, და ბულგარეთის ბუქსირი „პეტრე ვარამინჩევი". იმოწმებს რა ბულგარეთის ტვირთის სამდინარო გადაზიდვისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო ფირმის მონაცემებს, ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო აღნიშნავს, რომ ავარია მოხდა შეზღუდული ხილვადობის პირობებში.

რუმინეთის გემი, გადაბრუნდა და ჩაიძირა. არის მსხვერპლი. როგორც რუმინეთის აჟერპრესის სააგენტო იუწყება 169 მგზავრიდან და ეკიპაჟის წევრებიდან გადაარჩინეს 18 კაცი.

ტელეტაიპის ლენტიდან

მეხიკო. ჰონდურასში განლაგდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობის მხარდამჭერის საერთაშორისო ძალთა კონტიგენტის შტაბ-ბინა. ეს განაცხადეს ტეგუსიგალპში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მისიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში.

ტოკიო. სამხრეთ კორეის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ისწრაფვიან პრესტიჟული სამუშაო მიიღონ მსხვილ კორპორაციებში, ერთმანეთს შორის უპრეცედენტო მკაცრ საკონკურსო ბრძოლაში მოუწევთ ჩაბმა. როგორც რენჰაპის სააგენტო იუწყება, სამხრეთ კორეის საქმიანი სამყაროს ლიდერებმა გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად შეამცირონ სამუშაოზე მისაღები დიპლომიანი სპეციალისტების რიცხვი.

კოლომბო. გასულ თვეში ინფლაციამ შრი-ლანკაში 12,6 პროცენტი შეადგინა.

როგორც აქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაშია აღნიშნული, ინფლაცია იზრდება ძირითადად „საყოველთაო გაფიცვების" გამო, რომლებსაც აწყობენ ექსტრემისტული ორგანიზაციების ზეგავლენით.

მიტინგი გამარჯვების პარკში

9 სექტემბერს თბილისის გამარჯვების პარკში გაიმართა ხალხმრავალი სანქციონირებული მიტინგი, რომელიც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ მოაწყო. იგი მიეძღვნა „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის" შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის [illegible] პროექტის განხილვას.

მიტინგი გახსნა [illegible] საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა აკაკი ბაქრაძემ. განხილვაში მონაწილეობდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გაჩეჩილაძე, რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე რომან გოცირიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მწერალი ზვიად გამსახურდია, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები მერაბ კოსტავა, ირაკლი კაკაბაძე, ალეკო ქობულაშვილი, ლადო ისაკაძე, მწერალი გურამ პეტრიაშვილი და სხვები.

ორატორებმა ილაპარაკეს უკანასკნელ ხანს საქართველოში, მის ავტონომიურ ფორმირებებში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, აღნიშნეს, რომ სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები მისი მოწესრიგებისათვის. პლატფორმის პროექტი შეაფასეს უარყოფითად. დაისვა მთელი რიგი საჭირბოროტო პრობლემები, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. მათ შორის არის საქართველოდან ჯარში გაწვეულთა სამსახური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს ფარგლებში მსჯავრდებულთა სასჯელის ვადის მოხდა და სხვა.

შეკრებილებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაუგზავნონ ქვეყნის ხელმძღვანელობას წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მიტინგის მონაწილეთა პოზიცია.

(საქინფორმი).

აქტუალური ინტერვიუ

სატელიტო ხომალდ „პროგრეს-40“-ზე ბრძანება კოსმოსში დიდგაბარიტიანი კონსტრუქციის გაშლის შესახებ მიმდინარე წლის 5 მარტს გამთენიისას, 4 საათსა და 52 წუთზე გაიცა. ექსპერიმენტი ზუსტად გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდა. მისი შედეგების შეჯამებისას მადლიერებით აღინიშნა ავტორთა კოლექტივები, რომლებმაც უზრუნველყვეს ექსპერიმენტის წარმატება. მათ შორის დაასახელეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროც. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ინსტიტუტის რექტორის გოჩა ჩოგოვაძის სახელზე მოვიდა ამჟამად უკვე გენერალური კონსტრუქტორის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. სემიონოვის წერილი, რომლითაც იგი მადლობას უხდიდა ბიუროს მუშაობისათვის...

მაშ ასე: კოსმოსში ქართველ მეცნიერთა აზრისა და შემოქმედების ნაყოფიც დაფრინავს. დაგვეთანხმებით, ეს არ არის ორდინარული შემთხვევა და ნათლად წარმოაჩენს ქართველი მეცნიერების დიდ პოტენციასა და შესაძლებლობებს, იქმნება პრაქტიკულად ახალი მეცნიერული მიმართულება, სკოლა.

ეს თემა ადრე ჟურნალისტებისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაბუდადებული იყო. ამის შედეგიც არის, რომ სპეციალისტთა და სამსახურებრივი მდგომარეობით საკითხთან დაკავშირებულ ადამიანთა მცირე ჯგუფის გარდა თითქმის არავინ არაფერი უწყოდა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა, ერთი დიდი მიზნით გაერთიანებულ-ანთებული კოლექტივის დაძაბული, მნიშვნელოვანი და სისხლსავსე საქმიანობის შესახებ. შემთხვევით არ გვიხმარია სიტყვები — ახალგაზრდა და ქართველი: ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია, ხოლო აქაურ მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საშუალო ასაკი — 31 წელი.

რაკი ერთ საგაზეთო წერილში ყველაფერზე დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ, ამდენად ვერც სრულად წარმოვაჩენთ ბიუროს კოლექტივის მუშაობის ყველა მხარესა და ნიუანსს. მაგრამ ვეცდებით მთავარი მაინც ვთქვათ. თანაც, რაკი ტაბუ მოიხსნა, სხვა დროსაც მოგვიწევს მის წევრებთან შეხვედრა და მათ საქმიანობაზე საუბარი.

სწორედ ამის გათვალისწინებით ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს და მთავარ კონსტრუქტორს, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგეს **ელგუჯა მეძმარიაშვილს.**

კოსმოსი დედამიწაზე იწყება

ანუ ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიების ფართო საზოგადოებრიობისათვის აქამდე უცნობი ზოგიერთი მომენტი

თუმცა მანამდე გვსურს მოკლედ გაგაცნოთ თვით მეცნიერთა ამ კოლექტივის თავკაცი და ბიუროს შექმნის ისტორიაც.

ელგუჯა მეძმარიაშვილი ბათუმელია. 1964 წელს ოქროს მედლით დაამთავრა იქაური პირველი საშუალო სკოლა, ხუთი წლის შემდეგ კი, ასევე წარჩინებით, — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. იმავე, 1969 წელს, ჩაირიცხა ასპირანტურაში. სამი წლის შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ნიჭიერი და კარგი ორგანიზატორული თვისებების ახალგაზრდა მეცნიერი ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მეცნიერული მუშაობა მაინც არ ეთმობოდა და, როგორც ლითონკონსტრუქციების კათედრის დოცენტი, მოცალეობისას კვლავ განაგრძობდა მუშაობას გადასახსნელი ხიდების დარგში.

მერე დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს მაინც ორი კურდღლის დევნას ჰგავდა. ამიტომაც ბევრი არ უყოყმანია, არჩევანი მეცნიერების სასარგებლოდ გააკეთა. 1979 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო, რომელშიც თავდაპირველად სულ რამდენიმე თანამშრომელი და სტუდენტი მუშაობდა. ბევრი მათგანი ახლა უკვე მეცნიერი და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელია.

ჭირდა ახალი გზის ათვისება. არ ჰქონდათ ფული, ბაზები, მაგრამ აღმოჩნდნენ გულისხმიერი ადამიანები მაშინდელი სასოფლო მშენებლობის სამინისტროში, რომლებმაც ირწმუნეს მათი, შეუკვეთეს ახალი კონსტრუქცია და რამდენიმე ათასი მანეთიც გადაურიცხეს.

მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ იქნებოდა, ინსტიტუტის მაშინდელი პრორექტორის, აკადემიკოს თ. ლოლაძის დიდი ნდობა და სისტემატური საქმიანი თანადგომა რომ არა. სწორედ მან გაუწია რეკომენდაციაც სტუდენტურ ბიუროს, როდესაც ინსტიტუტში კოსმოსური კვლევის დარგის მოწინავე სპეციალისტები ჩამოვიდნენ და დაინტერესდნენ, იყვნენ თუ არა ამ უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერები, რომლებიც შეძლებდნენ კოსმოსურ გასაშლელ ნაგებობებზე მუშაობას.

აი, ასე დაიწყო 1981 წელს კოსმოსური ნაგებობების შექმნისათვის ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ძალიან ძნელი და პასუხსაგები, მაგრამ ასევე ძალიან საპატიო და საინტერესო მუშაობა.

ახლა კი, დაპირებისამებრ, მოვუსმინოთ ბიუროს დირექტორს და მთავარ კონსტრუქტორს ელგუჯა მეძმარიაშვილს.

— ბატონო ელგუჯა, ვიდრე ვისაუბრებდეთ ბიუროს ამჟამინდელ საქმიანობაზე, მომავლის ამოცანებსა და სხვა საკითხებზე, გვითხარით, ვინ გედგათ და გიდგათ მხარში, ვინ გეხმარებოდათ და გეხმარებათ თქვენი ამოცანების წარმატებით შესრულებასა და სიძნელეთა დაძლევაში?

— ჩვენი ბიურო, მართალია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რანგის მქონე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, მაგრამ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებობს და უშუალოდ რექტორს ემორჩილება. თავის დროზე, როდესაც რექტორად აკადემიკოსი თ. ლოლაძე მუშაობდა, იგი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ჩვენი ბიუროს ჩამოყალიბებასა და მუშაობას. ბატონი თეიმურაზი დღესაც, როგორც ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტი, ჩვენთან სათანადო სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიმართულებას.

ტრადიცია გრძელდება. ინსტიტუტის ამჟამინდელი რექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი გოჩა ჩოგოვაძე ძალიან გვეხმარება. როგორც გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტმა მან ბიუროში საფუძველი ჩაუყარა გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატური მართვის სისტემის მიმართულებას საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული სამუშაოების კომპლექსური კვლევის დარგში.

არა მაქვს უფლება დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო საქვეყნოდ ცნობილი რამდენიმე მეცნიერიც. ესენი არიან ლენინური და ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი, გენერალური კონსტრუქტორი და გენერალური დირექტორი ა. სავინი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე ი. დანილოვი, მთავარი კონსტრუქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი მ. ზაქსონი. მათ დიდი ბრძოლა გადახდათ ჩვენი მხარდაჭერისათვის და დღესაც ჩვენს გვერდით არიან.

აღსანიშნავია ჩვენი მრავალმხრივი და საქმიანი დამოკიდებულება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, უწინარესად მის სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტთან (დირექტორი — აკადემიკოსი ე. სეხნიაშვილი), რომელთანაც ერთობლივად ვამუშავებთ და ვიკვლევთ ახალი ტიპის საშენ კონსტრუქციულ მასალას. მჭიდრო საქმიანი კონტაქტები გვაქვს აკადემიკოს ი. ფრანგიშვილთან და სხვებთან.

მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში და ამჟამადაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სისტემატური ყურადღება და მხარდაჭერა, აგრეთვე სახალხო განათლების სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახმომარაგების, პარტიის მცხეთისა და ბორჯომის რაიკომების საქმიანი თანადგომა რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა ჩვენი ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტა.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, რა ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთება თქვენი ბიუროს სამეცნიერო პრობლემატიკაში?

— უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც ამჟამად ვმუშაობთ, ეს არის კოსმოსურ ორბიტებზე დიდგაბარიტიანი საინჟინრო ნაგებობების შექმნა. მათგან დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ობიექტების აგება, როგორიცაა არის დიდი ფართობის მოედნები, ე. წ. პლატფორმები სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარისათვის, ორბიტული სადგურებისათვის, ენერგეტიკული სისტემის მოწყობილობისათვის და სხვა.

ვმუშაობთ აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რადიოანტენების, ამრეკლავი ზედაპირების და კონცენტრატორების შექმნაზე. მეტად მნიშვნელოვანია კოსმოსურ ორბიტებზე კარკასული ტიპის გრძელელემენტიანი სადგურების აგებაც და სხვა. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ამჟამად ჩვენი უმთავრესი პრობლემაა მშენებლობა კოსმოსში და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

— რამდენად საჭირო, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ეს პრობლემები კოსმონავტიკისათვის?

— კოსმოსის ათვისების დღევანდელი პროგრამების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირში, ევროპის მოწინავე ქვეყნებსა და იაპონიაში, ითვლება, რომ პირველი ეტაპი კოსმოსური ხომალდების შექმნისა, სასარგებლო ტვირთი დედამიწიდან კოსმოსში რომ უნდა გაიტანონ, ძირითადად უკვე დამთავრებულია. ამჯერად პირველ პლანზე გამოდის თვით კოსმოსის ათვისება.

ამ პროგრამების თანახმად, რომლებიც დღეს საკმაოდ ინტენსიურად ხორციელდება, კოსმოსური ობიექტები წარმოდგენილია არა იმ სახით, რომელსაც თანამგზავრების სურათების ცქერისას შევეჩვიეთ, არამედ სულ სხვანაირად. ისინი წარმოადგენენ ფერმებით, თაღებით, კოჭებით, გარსებით, წინასწარდაძაბული და სხვა კომბინირებული სისტემებით აგებულ საინჟინრო ნაგებობებს.

უეჭველად აღსანიშნავია ისიც, რომ დღესდღეობით კოსმოსის ათვისების საჭიროებას ადამიანები ხედავდნენ ამინდის პროგნოზირებაში, დედამიწის წიაღისეულისა და სხვა რესურსების შესწავლაში, სატელევიზიო და რადიოკავშირის გაუმჯობესებაში, ლოკალური სატელეფონო კავშირის განხორციელებაში და სხვა. მაგრამ ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიც არის, თუნდაც, გლობალური სატელეფონო კავშირი დედამიწის მასშტაბით, კოსმოსური ინდუსტრიის შექმნა, რაც საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხია, და კიდევ ბევრი გრანდიოზული პროექტის განხორციელება, კოსმოსური ორბიტული საინჟინრო ნაგებობების შექმნის გარეშე შეუძლებელია.

— ეს ნაგებობები კი დღესდღეობით მთლიანად დედამიწაზე შენდება და მერე უნდა ავიტანოთ კოსმოსში. ამისათვის დიდ მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად საჭიროა ასევე დიდი და შრომატევადი სამშენებლო სამუშაოების შესრულება. უარყოფითად ხომ არ მოქმედებს ამისათვის გამიზნული საწარმოების მუშაობა ეკოლოგიაზე?

— არამც თუ უარყოფითად არ მოქმედებს, არამედ, თამამად შემიძლია ვთქვა ისიც, რომ უახლოეს მომავალში კოსმონავტიკა იქნება უმთავრესი წყარო ეკოლოგიური გაჯანსაღებისა. ეს მოხდება მაშინ, როდესაც მთელი მავნე, რადიაქტიური ნივთიერებები და სხვა მომწამვლელი ნარჩენები კონტეინერებში მოთავსდება და გაიტანება უსასრულობაში, კოსმოსში, ისეთ ორბიტებზე, რომლებიც დედამიწაზე მათ აღარასოდეს დააბრუნებენ. ეს მოხდება მაშინ, როდესაც მომწამვლელი ქიმიური და სხვა ტექნოლოგიური პროცესები მოეწყობა კოსმოსურ ორბიტებზე აგებულ საწარმოო სადგურებში, როდესაც კოსმოსში გამომუშავებული ელექტროენერგია კოსმოსიდანვე მიეწოდება დედამიწას და სხვა.

და ეს სულაც არ არის ფანტაზია თუ ილუზია. ნაწილობრივ მათი განხორციელება დღესაც შეიძლება და მცირე მასშტაბით კეთდება კიდეც. საჭიროა მხოლოდ უფრო მეტი ტექნიკური და მეცნიერული ძვრები ამ მიმართულებით, რაც უფრო ეკონომიურს და მასშტაბურს გახდის ამ მეთოდებს. ამიტომ ძალზე სცდებიან ისინი, ვისაც კოსმოსის ათვისება ფუჭი და ეკონომიკურად გაუმართლებელი საქმე ჰგონია.

ახლა რაც შეეხება თქვენი კითხვის უშუალოდ ჩვენს საწარმოებთან დაკავშირებულ ნაწილს. დედამიწის პირობებში ჩვენი საქმიანობის მიზანია საინჟინრო ნაგებობათა აწყობა და ძალოვანი ფაქტორების მოქმედებით მათი სიმტკიცისა და მდგრადობის გამოცდა, აგრეთვე გეომეტრიული პარამეტრების შესწავლა და აწყობის მეთოდების შემუშავება. კონსტრუქციები მზადდება ჩვეულებრივი ლითონებისაგან, რომელთაგან ყველაზე მეტად ალუმინისა და ტიტანის შენადნობებს ვიყენებთ. დედამიწის პირობებში კონსტრუქციათა გამოცდისათვის საჭიროა გარკვეული უწონადობის იმიტაცია, რომელიც მექანიკური ხერხით ან წყლის პირობებში ცურვის პროცესის შექმნით ხორციელდება. სხვათა შორის, წყალი აბსოლუტურად სუფთა უნდა იყოს, რადგან ექსპერიმენტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვიზუალური დაკვირვებები. როგორც ხედავთ, ეკოლოგიური პრობლემები ჩვენს საქმიანობაში არ არსებობს. პირიქით, მტვრის ნაწილაკები, გაჭუჭყიანებული წყალი, სხვადასხვა ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებიც საზომ ხელსაწყოებზე იმოქმედებს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჩვენს ბაზებში მიმდინარე ექსპერიმენტებზე. ამდენად ეკოლოგიური სისუფთავე ჩვენი საქმიანობისათვის უბრალოდ აუცილებელიც კია.

— რახან სიტყვა ბაზაზე ჩამოვარდა, გვითხარით, როგორია იგი და რამდენად შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს?

— კოსმოსური კონსტრუქციების ექსპერიმენტული კვლევა განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. კოსმოსში ამის გაკეთებას დღესდღეობით თითქმის შეუძლებელს ხდის იქაური ექსტრემალური პირობები, ეკონომიკური სიძნელეები და ძალიან ხშირად ტექნიკური უზრუნველყოფის შეუძლებლობაც. ამიტომ დღის კოსმოსურ ობიექტებს კომპლექსურად დედამიწაზე ვიკვლევთ. ბევრ ქვეყანაში შექმნილია ამისათვის საჭირო ექსპერიმენტული ბაზები.

მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ვარსკვლავეთთა ქალაქი თავისი საცდელი ჰიდროაუზით, სადაც წყალში ხდება უწონადობის იმიტაცია. ტაშკენტში არის მექანიკური უწონადობის სტენდი. აშშ-ში მრავალი ბაზაა, რომელთაგან გამოირჩევა მარშალის ცენტრი.

და ყოველივე ამის გათვალისწინებით გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ექსპერიმენტული ბაზა თავისი სხვადასხვა ტექნიკური პარამეტრებით 5-6-ჯერ აღემატება ზემოჩამოთვლილ ცნობილ ცენტრებს. დღეს ჩვენ პრაქტიკულად გვაქვს მსოფლიოში უნიკალური ბაზა, სადაც ერთდროულად ფუნქციონირებს სასტენდო კომპლექსები, რომლებიც მთლიანად უზრუნველყოფს დედამიწის პირობებში დიდგაბარიტიანი კოსმოსური დანიშნულების საინჟინრო ნაგებობათა ყოველმხრივ ექსპერიმენტულ კვლევას.

გარდა ამისა, ჩვენს ბიუროში მუშავდება დედამიწის პირობებში გამოყენებისათვის გათვალისწინებული სწრაფადგადასატანი, ძნელადმისადგომი ადგილებისათვის გამიზნული სხვადასხვა დანიშნულების გასაშლელი ნაგებობებიც. მათი ექსპერიმენტული კვლევისათვის საჭიროა შევისწავლოთ, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს მათზე ძნელადსავალ გზებზე ტრანსპორტირება, აგრეთვე ქარი და წვიმა, თოვლი თუ ყინვა. ამ მიზნით გვაქვს სპეციალური საცდელი ბაზაც ბორჯომის რაიონის მთის ზონაში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი. ორივე ბაზა მთლიანად არის დაკომპლექტებული საჭირო აპარატურით.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ყველა ის სამშენებლო ორგანიზაცია და ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ბაზების მშენებლობაში. მათ შორის აღსანიშნავია „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველო (გ. გამყრელიძე), „საქაგრომშენის“ რესპუბლიკური გაერთიანება (ი. ხარატიშვილი), „საქსახპროექტის“ ინსტიტუტი (რ. თოფურია), რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანა (ა. დოლიძე), ყოფილი მშენებლობის სამინისტრო (დ. მანჯგალაძე) და სხვები.

განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს თბილისის საავიაციო ქარხნის (დირექტორი — პ. თორდია) კოლექტივის საქმიანი თანადგომა, რომელიც საინჟინრო ნაგებობებს გვიმზადებს. ამით ჩვენ, როგორც მწარმოებლებს, საშუალება გვეძლევა გავყიდოთ არა სამეცნიერო კვლევის შედეგები ან საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, არამედ მზა პროდუქცია, რაც ძალიან ძვირი ღირს და უკვე ათმილიონობით მანეთის მოგება მოგვცა. სწორედ ამ ფულით ავაგეთ ისეთი უნიკალური ბაზები. მალე კი მოგება განუზომლად გაიზრდება, რადგან შემკვეთი ბევრია.

— შემკვეთებთან დაკავშირებით: კონკრეტულად რა საკითხებზე მუშაობთ ამჟამად და როგორია ბიუროს სამომავლო გეგმები?

— ამჟამად ბიურო ასრულებს სსრ კავშირის ყველაზე პრესტიჟული ფირმების შეკვეთებს. თანაც ეს ვინმეს მიერ შესრულებული სამუშაოების დანამატი კი არა, დამოუკიდებელი პრობლემებია, რომელთა გადაჭრისათვის თავიდან ბოლომდე ვაგებთ პასუხს.

ახლა რაც შეეხება მომავლის გეგმებს. ამჟამად მზადდება და გრძელდება ექსპერიმენტული კვლევა დიდგაბარიტიანი გრძივი კონსტრუქციისა, რომლის ორბიტაზე გაყვანა 1991 წლის დამდეგს არის განსაზღვრული.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ 1993-96 წლებში კოსმოსურ ორბიტებზე დიდგაბარიტიანი რადიოტექნიკური დანიშნულების საინჟინრო ნაგებობების გაყვანისათვის სამზადისს, რომლის მიზანია გლობალური სატელეფონო კავშირის სისტემის შექმნა.

მიმდინარე წლის ბოლოდან ბიუროში დაიწყება ნატურალური ექსპერიმენტები დიდგაბარიტიანი მზიდი ფერმისა, რომელიც მომავალი კოსმოსური სადგურის ბაზა უნდა გახდეს. შემოგვთავაზეს მონაწილეობა მივიღოთ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავთან დაკავშირებით კოსმოსური ფრეგატის განხორციელების მსოფლიო კონკურსში.

მიმდინარე წლის დამლევისთვის დაგეგმილია დედამიწის პირობებისათვის გათვალისწინებული გადასატანი დიდი რადიოანტენის ექსპერიმენტული მოდელის საბოლოო გამოცდის დამთავრება, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდება ასეთი სისტემების სერიული გამოშვება. ეს კი სხვადასხვა რაიონში მოხსნის კოსმოსიდან სატელევიზიო გადაცემათა შეზღუდული მიღების პრობლემას. გვაქვს სხვა გეგმებიც, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან მათ ახლაღა ვამუშავებთ.

— ისღა დაგვრჩენია, წარმატებები გისურვოთ ამ გეგმების განხორციელებაში, რისთვისაც უთუოდ დიდი და გულმოდგინე შრომა დაგჭირდებათ. ამასთან დაკავშირებით იქნებ დაგვისახელოთ ბიუროს თანამშრომელთა ის ჯგუფი, რომელსაც ძირითადად ტვირთად აწევს მთელი მუშაობა.

— მართალი გითხრათ, ძალიან მიჭირს ვინმეს გამორჩევა. შესაძლოა ბევრი გამონაწყენდეს კიდეც, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ მაინც ვიტყვი. უწინარესად ესენი არიან მიხეილ ჯანიაშვილი, მერაბ ადეიშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი, გურამ ბედუქაძე, ოთარ ტუსიშვილი, იოსებ ბოჩიკაშვილი, ნოდარ ხატიაშვილი, ვასილ ურუშაძე, გივი გაგნიძე, ვახტანგ ოქმელაშვილი, კოტე ჩხიკვაძე, ვალტერ ქანთარია, ბადრი ლუკავიშვილი, მამუკა სანიკიძე, ნოდარ წიგნაძე, შოთა ნასყიდაშვილი, ზურაბ გოგავა, თეიმურაზ შელქაძე, ნოდარ მომცელიძე, ალექსანდრე სარჩიმელია, ნუგზარ ცხვედიანი, მამუკა ბასიაშვილი და ვადიმ კავრიშვილი.

არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ ისინი, ვინც პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან არის მოწვეული ჩვენთან სამუშაოდ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან რევაზ ჩიკვაიძე, მერაბ ყურაშვილი, მერაბ თევზაძე, ოთარ კერვალიშვილი, ანზორ ფესვიანიძე, არტემ ბობოხიძე, ივანე რუხაძე, მერაბ თევზაძე, ალექსი თარგამაძე, თენგიზ კახეთელიძე, ვახტანგ გოგილაშვილი, კოტე ოდიშვილი, ნოდარ ქორქოლიანი, ირაკლი ბიუსი და ლამარა ავალიშვილი.

ეს რაც შეეხება მეცნიერ მუშაკებს. მაგრამ მათი წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია სათანადო ადმინისტრაციული, სამეურნეო თუ სხვა რგოლების გარეშე. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა წარმოგიდგინოთ აქ დასაქმებული ადამიანებიც: ანზორ მაჭავარიანი, ლევან შანიძე, ტარიელ ბარამიძე, როზა ომანიძე, მერი ჩიქოვანი, თინა ჩალაური, ნიკოლოზ პირუმოვი, ვლადიმერ ჭკვიანიშვილი, ალექსანდრე ცარიოვი, გია მაჟულაშვილი და მამუკა გიგოლაშვილი.

...კოსმოსის ათვისების მეტად რთულ და საპატიო გზაზე ქართველმა მეცნიერებმა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადადგეს — როგორც აღვნიშნეთ, კოსმოსში დაფრინავს მათი შემოქმედებისა და შრომის ნაყოფი. წინ ახალი, ბევრად მასშტაბური და პასუხსაგები ამოცანებია. წარმატებები ყოფილიყოს ბიუროს კოლექტივის წევრთა მუდმივი თანამგზავრი.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

ბუნების სურათები

ტყეპარკი მთამაღალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ არსებობენ ზამთრის სიცივეებში მცენარეები, ისიც მთამაღალში, როგორ იცავენ თავს, როგორ ემზადებიან გაზაფხულისთვის? ზამთარში განსაკუთრებით ხეებს უჭირთ, მთელი მათი მიწისზედა ორგანოები თოვლის, ნამქერის ზემოთ არის აღმართული. ყველაზე საშინელი, რაც ამ დროს ემუქრება ხეებს, გახმობაა. ყინვა აშრობს მცენარის ტენს. იყინება ტოტი და მაშინვე ილუპება. ტენის აღდგენა მცენარეში აღარ ხდება. ვინაიდან შემოდგომის მიწურულს, აცივდება თუ არა, ფესვებიდან ხის ზროში წყალი წყვეტს მოძრაობას.

რატომ არ ხმებიან ხეები, თუ ყინვა, რა თქმა უნდა, ძალიან მკაცრი არ არის? იმიტომ, რომ სამუდამოდ არიან დაცული წყალგაუმტარი ფენით. იგი შედგება მიკროსკოპული ზომის მკვდარი უჯრედებისაგან. უჯრედის გარსი საცობის მსგავსია, წყალგაუმტარია და გაჟღენთილია განსაკუთრებული ცხიმის მსგავსი ნივთიერებით — სუბერინით. ახალგაზრდა ტოტების ეს დამცველი შრე ჩვეულებრივ ქაღალდზე ოდნავ სქელია. ტოტის ზრდასთან ერთად „საცობის“ ფენაც სქელდება.

ზოგიერთი მცენარე, მათ შორის ხეები და ბუჩქები, თოვლის ქვეშ ზამთრობენ. ჩვენში ასეთები მთამაღალში, ტყის გავრცელების ზედა ზღვარზე იზრდებიან. ზამთარში ისინი უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მთის ქვედა სარტყელში მოზარდი მერქნიანი მცენარეები. საქმე ის არის, რომ თოვლის სქელი საფარის ქვეშ უფრო თბილა, ვიდრე თოვლის ზემოთ. ამიტომ მთამაღალში გავრცელებულ ხე-ბუჩქებში ტენი თვით ყველაზე მძვინვარე ზამთარშიც კი არ შრება. სამაგიეროდ თოვლის ღრმა საფარი თავის დაღს ასვამს მთამაღალის ხეებსა და ბუჩქებს. უსაშველო ტვირთისაგან ისინი უცნაურად იბრიცებიან. ასეთ სუბალპურ ტყეს სახელწოდებაც შესაფერისი აქვს — ტანბრეცილი. თავისი სიხალვათის გამო, რასაც ასევე გარემოს მკაცრი პირობები იწვევს, ხშირად მას ტყეპარკსაც უწოდებენ.

არნოლდ გეგეჭკორი.

სურათზე: მაღალი მთის მუხისგან შემდგარი ტყეპარკი. (მდინარე ალგეთის სათავეებში).

ავტორის ფოტო

საზღვარგარეთ სახალხო მოხმარების საქონლის გატანის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საბაჟო კონტროლის მთავარ სამმართველოში

საშინაო ბაზარზე არსებულ საქონლის დეფიციტთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 30 აგვისტოს მიიღო დადგენილება „სსრ კავშირიდან სახალხო მოხმარების საქონლის გატანის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტში მოწესრიგებულია წინათ მოქმედი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხება სსრ კავშირში ტურისტად, პირადი საქმეების გამო მყოფი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი უცხოელი მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ საქონლის გატანას.

დადგინდა, რომ ამ მოქალაქეებს არ შეუძლიათ საზღვარგარეთ გაიტანონ ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები და რადიოელექტრონული აპარატურა, სამშენებლო მასალა და ინსტრუმენტები, ავტომობილების სათადარიგო ნაწილები და საქსოვი მანქანები, მტვერსასრუტები, ყველა სახეობის ქსოვილი, საბავშვო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ნატურალური ტყავის ტანსაცმელი, ხალიჩები და ბეწვეული, თეთრეული და ტრიკოტაჟის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ჭურჭელი და სასადილო მოწყობილობა, ლოგინის და სუფრის თეთრეული, მედიკამენტები, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმი, უცხოური წარმოების საქონელი, აგრეთვე ყავა, კაკაო, ჩაი, ზუთხისა და ორაგულის ხიზილალა.

სახალხო მოხმარების დასახელებული საქონელი, აგრეთვე სასურსათო საქონელი არ შეუძლიათ გაგზავნონ სსრ კავშირიდან საბჭოთა და უცხოელ მოქალაქეებს საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით.

ამასთან სსრ კავშირში შეძენილი სხვა საქონლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 100 მანეთს ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საცალო ფასებით. სსრ კავშირიდან ერთი საფოსტო გზავნილის გასაგზავნი საქონლის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 30 მანეთს.

მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ და იყვნენ სსრ კავშირში სამუშაოდ (მათ შორის საელჩოებში, სავაჭრო წარმომადგენლობებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში) და სწავლობდნენ სასწავლებლებში, შეუძლიათ გაიტანონ საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები და რადიოელექტრონული აპარატურა, მაცივრები და საყინავები, სამკერვალო, საქსოვი და სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, ფოტოაპარატები არაუმეტეს ყოველი დასახელების ერთი საგნისა ოჯახზე წლის განმავლობაში. ამ პირებს ნება არ ეძლევათ გაიტანონ კაკაო, ყავა, ჩაი და ხიზილალა.

სსრ კავშირში უცხოური ვალუტით დადგენილი წესით მოვაჭრე სპეციალიზებულ მაღაზიებსა და ორგანიზაციებში შეძენილი სახალხო მოხმარების საქონლის გატანა შეუზღუდავია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული რეგულირების ღონისძიებები ძალაში შედის 1989 წლის 15 სექტემბრიდან. მას დროებითი ხასიათი აქვს და გამოყენებული იქნება ამჟამად მოქმედი „მოქალაქეთა მიერ ნივთების, ვალუტისა და ფასეულობების სსრ კავშირში შემოტანისა და საზღვარგარეთ გატანის წესების“ ფარგლებში.

საბაჟო დაწესებულებებს უფლება მიეცათ ამა წლის 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირში ამა წლის 15 სექტემბრამდე შემოსულ უცხოელ მოქალაქეთა მიმართ გამოიყენონ ადრე მოქმედი დებულებანი საზღვარზე სახალხო მოხმარების საქონლის გატანის შესახებ.

(საკდისი).

სპორტის ამბები

გამარჯვება ლიდერთან

ასეთ შედეგს, სიმართლე უნდა ითქვას, ალბათ, არავინ ელოდა: თბილისის „დინამომ“ სტუმრად დაამარცხა ჩემპიონატის ლიდერი — მოსკოვის „სპარტაკი“ — 1:0. ეს მოსკოველთა მეორე მარცხია მიმდინარე ჩემპიონატში, თბილისელთათვის კი მეტოქის მოედანზე მოპოვებული პირველი გამარჯვებაა. „სპარტაკის“ კარში ერთადერთი გოლი გოგიჩაიშვილმა გაიტანა. ახალგაზრდა თბილისელმა თავდამსხმელმა ცენტრიდან წამოიწყო იერიში, უკან ჩამოიტოვა მცველები და ზუსტად დაარტყა ჩერჩესოვის კარში. ცხადია, ამ გამარჯვებამ ერთგვარად გამოაკეთა დინამოელთა სატურნირო მდგომარეობა. რაც შეეხება „სპარტაკს“, მიუხედავად მარცხისა, მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერობას და ხუთი ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს. საქმე ისე მიდის, რომ ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლა ძირითადად მეორე-მესამე ადგილებისთვის გაჩაღდება, რაც შეეხება სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილს, თითქმის უიმედო ჩანს ლენინგრადის „ზენიტისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მდგომარეობა, თუმცა დარჩენილ მატჩებშიც შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები 17 და 18 სექტემბერს გაიმართება, ხვალ კი ექვსი საბჭოთა გუნდი ევროპის საკლუბო ტურნირებში ჩაებმება.

ახლა კი საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს გადავხედოთ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ“.	24	14	8	2	42-15	36
„დნეპრი“	24	13	5	6	32-22	31
„ჟალგ“.	24	12	6	6	31-22	30
„დინ“. კ.	24	10	10	4	29-17	30
„ტორპ“.	24	9	10	5	26-18	28
„მეტალ“.	24	9	8	8	26-28	26
„ჩერნომ“.	24	8	9	7	28-29	25
„დინ.“ მ.	24	7	10	7	28-28	24
„დინ“. მნ.	24	9	5	10	27-26	23
„არარატი“	24	8	5	11	23-32	21
„როტორი“	23	7	7	9	21-25	21
„პამირი“	24	6	8	10	17-29	20
„დინ“. თბ.	23	5	10	8	18-22	20
„შახტ“.	24	7	4	13	17-25	18
„ლოკომ“.	24	4	7	13	12-26	15
„ზენიტი“	24	3	8	13	16-39	14

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგან ძლიერი, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 20-25, მთაში 17-22, მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ხანმოკლე წვიმა, ელჭექ-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 24-29, შიდა ქართლში 18-23, მთაში 17-22, მაღალმთიანეთში 13-18 გრადუსი.

ე. ლ. ანდრონიკაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 12 და 13 სექტემბერს, 19 საათზე განსვენებულის ბინაში (ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, 24), 14 სექტემბერს — 16 საათზე ფიზიკის ინსტიტუტში (გურამიშვილის ქუჩა, 6), გამოსვენება 14 სექტემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა — დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია—სამშაბათი, 12 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. — 13.50 — „ათლეტიზმი“ 14.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ბერიტაშვილი“. 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი ბედი“. 15.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 16.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „კოლიბრის დღე“. 17.25 — ხალხური შემოქმედება — „განა ლალი ვარ, რომ ვმღერი“. 18.10 — განცხადებები. 18.15 — „გადაიარაღების გზით“. 18.45 — „თეატრი და დრო“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „თეატრი და დრო“ (გაგრძელება). 21.50 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ყურადღება, მოზარდი!“. 22.55 — პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმისა „რვაფეხა-3“ I სერია.

მეორე პროგრამა. 16.05 — ფილმ-სპექტაკლი „ყალბი ფული“. 18.10 — ქართული მხატვრული ფილმი „მანანა“. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — „მხიარული სტარტები“. „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე“. 10.20 — მხატვრის სახელოსნოში ვ. გონჩაროვი. 10.45 — ფილმ-კონცერტი. „ჩემი სახლი ჩემი თეატრია“ (კიევი). 11.50 — მხატვრული ტელეფილმი („რვაფეხა-3“ (იტალია). I სერია. 12.50 — ბავშვის საათი. (ფრანგული ენის გაკვეთილითურთ). 13.50 — „ეს იყო... იყო...“. 16.30 — დოკუმენტური ტელეფილმი ლევ ტოლსტოიზე. მეოთხე ფილმი. 17.25 — აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და თურქმენეთის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 17.55 — მულტფილმი. 18.15 — იმპულსი. 19.00 — „გუნდი პლუს ჩვენ“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი დიდებისათვის. „მარტოხელა როიალი“. 20.10 — განვიხილავთ სკკპ პლატფორმის პროექტს. „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“. 20.25 — პ. ჩაიკოვსკის რომანსებს მღერის ლ. სმეტანნიკოვი. 21.00 — გაფიცვის შემდეგ. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ყურადღება: ყმაწვილია!“. „ყმაწვილთა შორის დამნაშავეობის შესახებ“. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-3“. I სერია. 24.00 — დღეს მსოფლიოში. 0.15 — „პლანეტა — სერვისი წარმოგიდგენთ...“ 0.25 — მუსიკალური ბაზრობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 10.05 და 11.05 — ფრანგული ენა. 11.35 და 12.40 — ბიოლოგია. VI კლასი. მცენარეები და ჩვენ. 12.05 — ახალი ამბები. 13.10 — კონცერტ-ნარკვევი. 13.35 — დოკუმენტური ფილმი. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — „თეთრი ღამეები“. პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ანა პავლოვნა“. II სერია. 19.05 — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახტელერადიო. ჩრდილოეთ ოსეთის ტელევიზიის პროგრამა. 20.00 — პატარა კონცერტი. 20.15 — „გულმოწყალება“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „უმთავრესი საკითხი“. 0.05 — ცხენოსნობა. 0.50 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 07200 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14